საერთო გაზეთი

№45 (408) • 30 ნოემბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

მიხეილ სააკაშვილი რუსეთში, პუტინთან, აპირებს გაქცევას?

მიხეილ სააკაშვილს იმდენი სიკეთე აქვს გაკეთებული რუსეთისთვის, სადაც სამართალია, ერთი კოხტა ძეგლი ნამდვილად ეკუთვნის წითელ მოედანზე წარწერით: „მიხეილ სააკაშვილს – მადლიერი რუსეთისგან“.

„ნაცმოძრაობა“ პოლიტიკურ სანაგვეზე!

გაიხსნას ყველა გახმაურებული თუ გაუხმაურებელი საქმე და გასამართლდეს „ნაცმოძრაობა“, როგორც ფაშისტური რეჟიმი

„ნაცმოძრაობა“ პარლამენტიდან აპირებს ქვეყნის აყირავებას?

არ მესმის! ვერ ვხვდები! ვერ ვიგებ! – რით ვერ დამთავრდა „ნაცმოძრაობის“ პარპაში ამ ქვეყანაზე?

პირველი თაობის ვაკელი და „ძველი ბიჭი“ პლეხანოვიდან

არა, მე მაინც ახალი ვარო, ელენე ხოშტარიამ... ახალი და ფაქიზიო, ახალი და გაუსვრელიო, ახალი და სუფთაო... ემანდ ნეკზე არ მიკბინო, პატარავ, მეშინია...

ის, რაც ამერიკაში მოხდა, ეს იყო რევოლუცია, თუმცა ამის გაგება საქართველოში რატომღაც ჯიუტად არ სურთ

დავით ნემსაძე:

მალე დავდებ დოკუმენტებს, რომლითაც მტკიცდება, რომ გენერალი, რომელიც ახლახან დააწინაურეს, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ბრძოლის ნაცვლად, მიწის ნაკვეთების გადაფორმებით იყო დაკავებული

გიორგი ბურჯანაძე:

ხორცი და რძის პროდუქტები, რომლითაც ბაგა-ბაღები მარაგდება, უხარისხოა და ბავშვების საკვებად არ უნდა გამოიყენებოდეს!

„ნაცმოძრაობა“ პარლამენტიდან აპირებს ქვეყნის აყირავებას?

არ მესმის! ვერ ვხვდები! ვერ ვიგებ! — რით ვერ დამთავრდა „ნაცმოძრაობის“ პარპაში ამ ქვეყანაზე?

ახლად მოწვეული პარლამენტის სხდომების პარალელურად ტელეეკრანებზე მრავალსერიანი ფილმი „ჰეროკრატია“ გადის.

არ მესმის! ვერ ვხვდები! ვერ ვიგებ! — თუ ამ ფილმში მოთხრობილი შემზარავი ამბები მართალია, მაშინ რა უნდა „ნაცმოძრაობას“ პარლამენტში?

— როგორ თუ რა უნდა? ნახევარმა მილიონმა ადამიანმა ხმა მისცა „ნაცმოძრაობას“ და ვის რა უფლება ჰქონდა, პარლამენტში არ შეეშვა ხალხის რჩეულები? ჩვენთან ხომ დემოკრატიაა? — შემომედავებიან, ალბათ, ვირაცები.

კი, ბატონო, დემოკრატიაა, მაგრამ ეს დალოცვილი დემოკრატია მხოლოდ დამნაშავე „ნაცმოძრაობისთვის“ რომ მუშაობს, რატომ არ მუშაობს იმ ათეულათასობით მოქალაქისთვის, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ გასამართლებას და აკრძალვას მოითხოვდნენ და მოითხოვენ დღემდე?

ამ ჩვენებურ დემოკრატიას მხოლოდ ცალ ყურში ესმის და მხოლოდ ცალი თვალით იხედება და ის ცალი ყურიც და ცალი თვალიც მხოლოდ „ნაცმოძრაობისთვის“ აქვს მიპყრობილი?

არ მესმის! ვერ ვხვდები! ვერ ვიგებ! — რით ვერ დამთავრდა „ნაცმოძრაობის“ პარპაში ამ ქვეყანაზე?

„ნაცმოძრაობა“, სანამ 2004 წელს ოფიციალურად მოვიდოდა ხელისუფლებაში, მანამდეც 5-6 წელი ხელისუფლებაში იყო, ამას დავუმატოთ ხელისუფლებაში ყოფნის ცხრა წელი, დავუმატოთ პარლამენტში ყოფნის 4 წელი 2012-2016 წლებში, კიდევ დავუმატოთ 4 წელი ახალ პარლამენტში და მივიღებთ ჯამს — 22 წელს.

გამოდის, რომ საქართველომ 22 წელი უნდა ითმინოს ეს ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქართული ძალა და, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება კიდევ 22 წელი მოგვიწიოს „ნაციონალურ“ კოშმარში ყოფნა.

კი, მაგრამ, ისეთი რა დამსახურებები აქვს „ნაცმოძრაობას“ ქართველი ხალხის წინაშე, რომ ამდენი ხანი ვიგმინოთ და ვივიშვიშოთ ნაცური უღლის ქვეშ?

არ მესმის! ვერ ვხვდები! ვერ ვიგებ! როცა „ქართული ოცნების“ ხელისუფლების უმაღლესი პირებისგან სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ მოძიებულ და მოკვლეულ ინფორმაციებზე დაყრდნობით არაერთგზის ნათლად და ხმამაღლა ითქვა, რომ „ნაცმოძრაობა“ ეს არის ტერორისტული ორგანიზაცია, რომელმაც ქვეყანაში კრიმინალურ-ფაშისტური რეჟიმი დამყარა და უამრავი უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა, რატომ არ დადგა საკითხი „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვის შესახებ, მით უმეტეს, რომ არსებობს ყველანაირი იურიდიული და სამართლებრივი საფუძველი საკითხის ამგვარად დაყენებისთვის?

საქმეს ვერ შველის ის არგუმენტი, რომ „ნაცმოძრაობის“ მრავალი წევრი, რომლებსაც კონკრეტული დანაშაულები ჰქონდათ ჩადენილი, კანონის წინაშე წარსდგნენ და ზოგი დაჭერილია, ზოგი მიმალვაშია, ზოგის საქმე ძიებაშია, ხოლო ისინი, რომლებიც, მართალია, „ნაცმოძრაობის“ აქტიური წევრები კი იყვნენ, მაგრამ პერსონალურად არანაირი დანაშაული არ ჩაუდენიათ ანუ არავინ უწამებიათ, არავინ მოუკლავთ, არავისთვის არ წაურთმევიათ ქონება, უდანაშაულოები არიან.

ამ ლოგიკით უდანაშაულოები არიან გერმანული თუ იტალიური ფაშიზმის ის უაღლესი პირები, რომლებსაც საკუთარი ხელით არავინ მოუკლავთ, არავინ უწამებიათ მაგრამ იდეოლოგიურად ანმტკიცებდნენ და აძლიერებდნენ ფაშიზმს.

ფაშიზმი, როგორც მოვლენა, სწორედ მათ მხრებზე იდგა.

ენმ ანუ ქართული ფაშიზმიც სწორედ იმათ მხრებზე იდგა და დგას დღემდე, რომლებსაც თითქოს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეები არ ჩაუდენიათ, სამაგიეროდ, ჩადენილი აქვთ ამ კონკრეტულ დანაშაულობებზე უფრო დიდი დანაშაული — ისინი ამუშავებდნენ ქართული ფაშიზმის იდეოლოგიურ მანქანას, ისინი იყვნენ შემოქმედნი და ხმალამოღებული დამცველნი იმ სისტემისა, რომელმაც ამდენი სისხლი და ცრემლი მოუტანა ქვეყანას.

ბოკერიები, სამადაშვილები, კახიძეები, უგულავები, ნადირაშვილები, ჭიაბერაშვილები, მელიები, ხოშტარიები, ბაქრაძეები, კაპანაძეები, თაქთქიშვილები, გვარამიები, სხვანი და სხვანი, „ნაცმოძრაობის“ იდეოლოგიური ელიტის წარმომადგენლები, გაცილებთ უფრო დიდი დამნაშავეები არიან, ვიდრე საშუალო თუ ქვედა რგოლის ჯალათები.

ჯალათების, მოძალადეების, მკვლელების, ყაჩაღების, ბანდიტების მთელი არმია, სწორედ მათ შექმნეს, მათ წაახალისეს, მათ წააქეზეს საკუთარი ხალხისა და ქვეყნის წინააღმდეგ.

ყოველივე ამის შემდეგ ვის მოუტრიალდება ენა იმის სამტკიცებლად, რომ ესენი, ჯალათების შემქმნელები, დღეს რომ პარლამენტში მოკალათებულან და პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან მორალს რომ გვიკითხავენ, უადანაშაულონი და უცოდველნი არიან?

ვის მოუტრიალდება ენა იმის სამტკიცებლად, რომ ბოკერია,

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ენმ-ის ახალი ლიდერი, სააკაშვილზე ნაკლები სააკაშვილია, ხოლო ენმ-ის სხვა წევრები, ძველი თუ ახალი, რომლებიც პარლამენტში ოფიციალურ ფრთას წარმოადგენენ, რაიმეთი უკეთესები არიან იმ ნაციონალებზე, რომლებიც ციხეებში სხედან.

სინამდვილეში მათი ადგილიც ციხეშია და სანამ ეს განაჩენი არ აღსრულდება, არ იქნება მშვიდობა ამ ქვეყანაზე.

იქნებ, გვიანია „ნაცმოძრაობის“ აკრძალვაზე საუბარი... არჩევნებამდე უნდა გვეფიქრა ამაზე... ახლა პარლამენტში შევიდნენ უკვე და როგორ გინდა ესენი იქიდან გამოფერთხო თუ გამოაბრძანო?

საქართველოს უზენაეს საბჭოში იყვნენ კომუნისტებიც, მაგრამ ახლად დამოუკიდებლობამიღებული საქართველოს ხელისუფლებამ ისინი უმტკივნეულოდ დაითხოვა საკანონმდებლო ორგანოდან.

ამ ადამიანებს პიროვნულად არანაირი დანაშაული არ ჰქონდათ ჩადენილი, მაგრამ ისინი სამართალმემკვიდრეები იყვნენ იმ პარტიისა, რომლებსაც ბევრი ცოდვა მიუძღოდა ხალხის წინაშე და სწორედ ეს გახდა უზენაესი საბჭოდან მათი გამოშვების მიზეზი.

ყველა, უკლებლივ ყველა, ვინც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ქუდქვეშ ეწევა პოლიტიკურ საქმიანობას, პასუხისმგებელია იმ დანაშაულების გამო, რაც ამ კრიმინალურ ორგანიზაციას აქვს ჩადენილი.

ეს ის პასუხისმგებლობაა, რომელსაც დრო ვერ ჩამოწერს და ოცი, ოდაააათი, ორმოცი წლის შემდეგაც მოეკითხება ყველას, ვინც „ნაცმოძრაობის„ სახელით გააგრძელებს მოღვაწეობას.

ვახტანგ ხარჩილავა

P.S. შაბათს, 26 ნოემბერს, მთავრობის კაბინეტის დამტკიცებისას „ნაცმოძრაობის“ დეპუტატების გამოსვლებს რომ ვუსმინე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: **„ნაცმოძრაობას“ არ შეუძლია იყოს ოპოზიციური ძალა, რადგან ის დაბადებით, წარმოშობით, ხასიათით, შინაარსით, მოწოდებით ოპოზიციური კი არა, დესტრუქციული ძალაა.** დესანტია, რომელიც ახლა უკვე შიგნიდან, პარლამენტიდან, შეეცდება ქართული სახელმწიფოს დანგრევას, რომ მერე ამ ნანგრევებზე თვითონ აღმოცენდეს ხელისუფლებად.

მე, პირადად, ვერაფრით ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება „ქართულმა ოცნებამ“ და „ნაცმოძრაობამ“ ერთმანეთთან ითანამშრომლონ და თუნდაც ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე რაღაც კონსენსუსს მიაღწიონ.

ისიც ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს შეიძლება ერთ ჭერქვეშ მშვიდობიანად გაძლოს ამ ორმა, ერთმანეთისგან დიამეტრულად განსხვავებულმა პოლიტიკურმა ძალამ.

მეეჭვება, ძალიან მეეჭვება, რომ მათმა თანაარსებობამ ოთხ წელიწადს გასტანოს.

„ნაცმოძრაობამ“ უკვე დააანონსა, რომ ისინი იმოქმედებენ მუდმივი დაპირისპირების, მუდმივი კონფრონტაციის, მუდმივი დისკრედიტაციის, მუდმივი აგრესიის რეჟიმში, რაც, მათი გათვლებით, ავტომატურად გადავა მოსახლეობაზე და სახიფათო ზღვრამდე გაზრდის სამოქალაქო დაპირისპირების და დესტაბილიზაციის რისკებს.

ეჭვგარეშეა, რომ „ნაცმოძრაობა“ პარლამენტიდან აპირებს ქვეყნის აყირავებას, მაგრამ, იმედია, „ქართული ოცნება“ ნაციონალების ამ ავანტურისტულ-პროვოკაციული ზრახვების აღსაკვეთად, რაღაც ისეთს მოიმოქმედებს, რაც საბოლოოდ დაასრულებს „ნაცმოძრაობის“ არსებობას.

ვ. ხ.

მიხეილ სააკაშვილი რუსეთში, პუტინთან, აპირებს გაქცევას?

დაუჯერებელი ინფორმაცია მოგვაწოდა ჩვენმა ერთმა უკრაინელმა რესპონდენტმა: — მიხეილ სააკაშვილი, რომელიც შიშმა შეიპყრო, რომ შეიძლება უკრაინის ხელისუფლებამ დაიჭიროს და საქართველოს ხელისუფლებას გადმოსცეს, ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებს პუტინის ადმინისტრაციასთან, რომ თუ გამოუვალი სიტუაცია შეექმნება, აპირებს პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით რუსეთს მიმართოს.

დაუჯერებელიო, კი ვთქვით, მაგრამ ეს ამბავი არც ისე დაუჯერებელი ჩანს, თუ იმ უდიდეს ამაგს გავითვალისწინებთ, რაც სააკაშვილს რუსეთის წინაშე მიუძღვის.

სააკაშვილმა რუსეთისთვის საქართველოს ნაწილ-ნაწილ გადაცემა ჯერ კიდევ 2004 წლიდან დაიწყო, როცა რუსეთიდან საქართველოში სპეციალური მისიით მოვლინებული კახა ბენდუქიძის ხელით რუსეთს, ფაქტობრივად, მთლიანად ჩაუგდო ხელში ქართული ეკონომიკის უმთავრესი ბერკეტები და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები.

სააკაშვილმა ქვეყნის განადგურების პოლიტიკა 2008 წლის აგვისტოს ომით დააგვირგვინა, რის შედეგადაც საქართველომ თავისი ტერიტორიის 20% დაკარგა.

ამ ხუთდღიანი ომის წყალობით, აფხაზეთმა და ე. წ. სამხრეთ ოსეთმა შეძლეს აღედგინათ ტერიტორიული მთლიანობა თავიანთი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში, რამაც შესაძლებლობა მისცა რუსეთს, ეს სეპარატისტული წარმონაქმნები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ეღიარებინა.

აი, ასეთი განუზომლად დიდი დამსახურებები აქვს სააკაშვილს რუსეთის წინაშე და, ცხადია, მადლიერი რუსეთი მის ფარულ მოკავშირეს და მეგობარს სიხარულით გაუღებს კარს, მით უმეტეს, რომ სააკაშვილი ისეთი ზესკანდალური და ზესაიდუმლო ინფორმაციების მატარებელია, რომლებსაც ოქროს ფასი ადევს.

ასე რომ, სულაც არ იქნება გასაკვირი, ერთ მშვენიერ დღეს პოლიტიკური დევნილის სტატუსით აღჭურვილი ბატონი მიშა მოსკოვში რომელიმე ქართულ რესტორანში ვნახოთ მოქეიფე კიტოვანთან და იმ სხვა ქართველებთან ერთად, რომლებიც გასული საუკუნის 90-იან წლებში ვითომ რუსეთს ებრძოდნენ, მოგვიანებით კი მასთან „თავგანწირულად“ მებრძოლი „მტრები“ რუსეთმა თავისი ფრთის ქვეშ შეიფარა.

როგორც ვთქვით, მიხეილ სააკაშვილს იმდენი სიკეთე აქვს გაკეთებული რუსეთისთვის, სადაც სამართალია, ერთი კოხტა ძეგლი ნამდვილად ეკუთვნის წითელ მოედანზე წარწერით: „მიხეილ სააკაშვილს — მადლიერი რუსეთისგან“.



გიორგი გამეზარდაშვილი

„ნაციონალური მოძრაობა“ – პოლიტიკურ სანაგვეზე!

გაიხსნას ყველა გახმაურებული თუ გაუხმაურებელი საქმე და გასამართლდეს „ნაცმოძრაობა“, როგორც ფაშისტური რეჟიმი

„უკვე ამაზრზენად მიმაჩნია ნაციონალებთან კოაბიტაციაზე საუბარი, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს მათთვის თავზე ხელის გადასმა. ნაცმოძრაობა უკვე აღარ წარმოადგენს ისეთ ანგარიშგასაწევ ძალას პარლამენტში, რომ მათ ჭკუაზე იაროს ხელისუფლებამ, ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს ის დრო, ნაციონალების დღის წესრიგის მიხედვით რომ მიდიოდა პოლიტიკა“, აცხადებს „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ადვოკატი ნიკოლოზ მჟავანაძე.

- საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე ძალაზე 13 წელი ესაუბრათ, რა გახდნენ ეს ნაციონალები? საქართველოს მოსახლეობამ მათ 2012 წელს გამოუტანა განაჩენი, პარლამენტში თუ სიტყვით აჯობე, ბევრს არაფერს ნიშნავს,

რაღა დროს ნაციონალები არიან, ხომ ხედავთ ერთმანეთს დაერივნენ, უკვე „რუსთავი-2“ დასცინის სააკაშვილს, არანორმალურად თვლიან. ქვეყნის წინსვლაზე ვიფიქროთ, გაიხსნას ყველა გახმაურებული საქმე და ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდეს მათზე საუბარი. ის ხალხი, ახლა ნაციონალებთან „პაექრობით თავს რომ იწონებენ, სად იყვნენ 2012 წლამდე, რაღაც მათი პროტესტი არ მახსოვს. მანამდე გადაედგათ გაბედული ნაბიჯები, ახლა დიდ გულზე რომ არიან, ჩხუბის მერე მუშტებს არ იქნევენ. პროკურატურის მუშაობას დადებითად შევაფასებდი, გია გვიჩიანისა და სხვა რეზონანსულ საქმეებთან დაკავშირებით ცვლილებები უკვე მოხდა, ამბობენ, რომ ყველა გახმაურებულ საქმეზე დადგება ობიექტური განაჩენი. ადრე თუ არ არსებობდა კანონი, რომ ეს საქმეები გადახედილიყო, ახლა უკვე ამოქმედდა, თუმცა საზოგადოებამ ამის შესახებ ჯერ არც იცის. ამ კანონის მიღება მისასალმებელია, მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი, ვფიქრობ, „პორტირებული“ და 2012 წელს „დაბადებული“ პოლიტიკოსები არ უნდა იყვნენ ხელისუფლებაში, თუმცა „ქართული ოცნების“ საპარლამენტო სიაშიც საკმაოდ გვყავს ასეთი ხალხი. რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებაში ცვლილებებს, ჩემი აზრით, არც ეკონომიკურ გუნდში და არც ძალოვან სტრუქტურებში თანამდებობებზე არ უნდა დაინიშნოს ის ხალხი, ვინც ნაციონალებთან იყვნენ გაიგივებული. ჩემთვის სრულიად გაუგებარია ნინო ლომჯარიას სახელმწიფო აუდიტის თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნა. ჩემი ინფორმაციით, ხელისუფლებაში აქტიურად განიხილება სახალხო დამცველის თანამდებობაზე ეკა გიგაურის კანდიდატურა, მოგეხსენებათ, 2017 წელს სექტანტ ნანუაშვილს უფლებამოსილების ვადა ეწურება და აპირებენ, რომ იგი გიგაურით ჩაანაცვლონ. მაშინ რაღა მნიშვნელობა აქვს ნანუაშვილის წასვლას, როცა ეს ორი პერსონა არაფრით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ყოფილი პრემიერ-მინისტრები ლომჯარიასა და გიგაურზე ამბობდნენ, ქვეყნის წინაღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიანო და დავიჯერო, რომ ამ უკანასკნელნთ ასე მოკლე დროში კურსი შეიცვალეს? გიგაური ახლა უფლებადამცავ საქმიანობას ეწევა, თუმცა სინდისს არ შეუწუხებია, რომ 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ, მერაბიშვილის უწყებაში თანამდებობა დაეტოვებინა, პირიქით, კაპიტნის პაგონები მიიღო. ამ ყველაფრის შემდეგ, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ?! დარწმუნებული ვარ, რომ არასამთავრობოთა „ელიტურ“ ნაწილს გრანტები მოაკლდებათ, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე დამარცხდა ფაშისტურ-ფსევდოლიბერალური ძალა, რაც ამ „ელიტარებზეც“ პოვებს ასახვას. მათ კომფორტი რომ არ მოაკლდეთ, ამიტომ ხელისუფლებაში უნდა დავასაქმოთ? ხალხს რომ უხარია რესპუბლიკელები მოვიშორეთო, რა მნიშვნელობა აქვს, თუ ლომჯარიებს, გიგაურებსა და ჩუგოშვილებს მიიყვანენ ხელისუფლებაში. უზენაეს სასამართლოში „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, ამ დროს ქალბატონი ჩუგოშვილი განცხადებით გამოდის, პროცესის ჩანაშენა ცოტა ნაადრევი იყო, მთავრობა მაინც დაგვეკომპლექტებინა, რაღაც უხერხულად ვართო. დიდ იურისტობაზე პრეტენზიის მქონე ადამიანმა, თანაც პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, ეს როგორ უნდა თქვას, ნეტავ სად ნახეს, რომ უზენაესი სასამართლო მთავრობის კომპლექტაციას ელოდებოდა? იურისპრუდენციასა და სამართალში სიტყვას კი არა, მძიმეს აქვს მნიშვნელობა, რადგან ისიც ცვლის აზრს. „ქართული ოცნების“ ე.წ. ახალი სახეებისთვის თურმე ტრენინგები და კასტინგები უნდა ჩაეტარებინათ, საინტერესოა, ვინ ჩაუტარა მათ ტრენინგ-კასტინგები? ჩუგოშვილმა თავისი განცხადებით, ფაქტობრივად ნაციონალების წისქვილზე დაასხა წყალი. იქით მეორე დეპუტატი ამბობს, რომ თურმე კარგი ყოფილა დოლარის გაძვირება, რადგან ხალხი გადახურდავებისას მეტ ლარს მიიღებს და ა.შ. ახლა ამას ის გამწარებული ხალხი რომ მოისმენს, რომლებსაც ლარის კურსის ვარდნის გამო, სესხები გაეზარდა, რა განწყობა გაუჩნდება მმართველი ძალის მიმართ. მარტო საკუთარ საქმეში პროფესიონალობა ბევრს არაფერს ნიშნავს, თუმცა რა პროფესიონალები არიან, ესეც გასარკვევია. ამ კადრების უმეტესობას სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის არც გამოცდილება აქვთ და არც უნარ-ჩვევები, ეს „ენჯეოშნიკები“ მხოლოდ ე.წ. მოხსენებითი ბარათების კეთებით იყვნენ და არიან დაკავებულნი.

- რას გულისხმობთ? ბარემ აქვე გკითხავთ, დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტების შემდეგ, თუ შეიცვლება საქართველოში საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა?

- მე არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველო სავსეა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების წარმომადგენლებით. ამის დასტურად ერთ მაგალითს გეტყვით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილმა დირექტორმა თამარ კინწურაშვილმა, რომელიც ახლა არასამთავრობო სექტორს წარმოადგენს, რამდენიმე ხნის წინ „დაკლადი“ გაუკეთა ამერიკის საელჩოს, სადაც თურქოფობიაში დამადანაშაულა. თურმე თურქეთის პრეზიდენტის ერდოღანის განცხადებისადმი ჩემი გამოხმაურება, რომელიც მან საქართველოსთან დაკავშირებით გააკეთა, თურქოფობია ყოფილა. ჩემს განცხადებაში აღვნიშნე, რომ საქართველოში აგრესიული პოლიტიკა მიდის, რაც დაუშვებლად მივიჩნიე, უბრალოდ, ძალიან მაინტერესებს, ეს „ტოლერანტ-დემოკრატები“ ეროვნული ინტერესების დაცვას რას ეძახიან. ჩემი აზრით, ესენი თანამედროვე „ეჟოვები“ და „იაგოდები“ არიან, რომლებიც ფაქტობრივად აბეზღებენ ხალხს უცხოელებთან, მერე ამერიკის საელჩო მიუთითებს ჩვენს ხელისუფლებას, რომ არ შეიძლება ასეთმა „ფობიებით შეპყრობილმა“ ხალხმა თანამდებობები დაიკავონ, რადგან ეროვნულ შუღლს აღვივებენო და ა.შ. ძირითადად, სწორედ ასეთი „დაკლადჩიკებით“ არის დაკომპლექტებული რიგი სახელისუფლებო შტოები. ისე, ტელევიზიით რაც ნაკლებად ისაუბრებენ ეს პერსონები, უკეთესია, მოსახლეობას ნაკლებად გააღიზიანებენ. ასეთი ხალხი უკვე „ჩარეცხა“ ამერიკამ და ახლა საქართველო არ უნდა გადაიქცეს ფსევდოლიბერალიზმის ბუდედ. დღეს თუ კუბა და ჩრდილოეთ კორეა უკანასკნელი კომუნისტური ციტადელია, საქართველო ფსევდოლიბერალიზმის „კუნძული“ გახლავთ. მსოფლიოს არცერთი ქვეყნის ხელისუფლებაში, ხელისუფლების მიღმა თუ მასმედიაში ყოფილა და არის იმდენი სამშობლოსადმი სიძულვილით და ფსევდოლიბერალიზმით შეპყრობილი, ეკლესიისადმი მტრულად განწყობილი ხალხი, რამდენიც საქართველოშია. ისინი იქნებ ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ შეიცვალნენ მათი „პატრონები“ და ნუ ჩაყვებიან სოროსს „სამარეში“. ახლა ყველაფერზე ღიად საუბრისგან თავს შევიკავებ, ერთს ვიტყვი, **ხელისუფლებაში სოროსის ფონდი დაფრთიანებული და ამ იდეოლოგიის მატარებელი ხალხი არ უნდა იყოს, რადგან ამას საქართველო ვერ მოითმენს.**

რაც შეეხება პოლიტიკურ ცვლილებებს, თუ არ შეიცვლება, თვითონ ამერიკელები შეცვლიან. 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნები მარტო ამერიკის კი არა, საქართველოს არჩევნებიც იყო, ჩვენ ხელისუფლებას ამერიკაში ვირჩევთ, ეს ქვეყანაა ჩვენი რეალური მმართველი, საქართველოს ხელისუფლება უბრალოდ მასზე დაქვემდებარებულია. სამწუხაროდ, ეს რეალობა გვაქვს. დღეს დონალდ ტრამპი გვყავს პრეზიდენტად და ვინაიდან ამერიკამ შეიცვალა კურსი, ჩვენთანაც უნდა შეიცვალოს, ტრამპი ამბობს, ჩვენ ტრადიციულ ღირებულებებს ვცემთ პატივს, რუსეთთან ურთიერთობები უნდა დალაგდესო და ა.შ. აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება

ჩვენ სხვა კურსი გვქონდეს. ქართველი „ელიტარები“ კი ამბობენ, ტრამპს ვინ ეკითხება, იქ სხვები იღებენ გადაწყვეტილებესო და ამგვარი სისულელეები, გამოდის, იმდენად დებილები არიან, რომ ჰგონიათ, რასაც ტრამპი ამბობდა, მარტო მისი პოზიცია იყო. პრეზიდენტობის კანდიდატი ყველა მესიჯს საკუთარ გუნდთან ათანხმებს, ასე რომ, მთელს მსოფლიოში შეიცვლება პოლიტიკა, მათ შორის, საქართველოშიც. მოხდება ახალი მსოფლიო გადანაწილება, როგორც ეს 1945 წელს მოხდა. დღეს სრულიად ახალი პროცესი იწყება, აშკარაა, რომ გლობალიზაცია ჩიხში შევიდა, მან მოჭამა თავისი დრო, ევროპა და ამერიკაც დააზარალა. დასავლეთი ჩიხიდან გამოსვლას ცდილობს, ამ ფონზე ჩვენი ხელისუფლება და პოლიტიკური ისტებლიშმენტის ნაწილი კი საერთოდ არაადექვატურია, თვითონ თუ ვერ ხვდებიან რა ხდება მსოფლიოში, ტელევიზორი მაინც ჩართონ, რომ მიხვდნენ დროა, ჩამოხსნან ფსევდოლიბერალების დროშა და სხვა აღმართონ. ვფიქრობ, თუ ესენი თუ სოროსს, ჰილარი კლინტონსა და მაკეინს „სამარეში“ ჩაყვებიან, იმას მიიღებენ, რომ თვითონ ამერიკა შეცვლის ამ ფაშისტი ფსევდოლიბერალების სექტას. ტრამპმა იმიტომ მოიგო არჩევნები, რომ ამერიკელებსაც ყელში ამოუვიდათ, უფრო მეტიც, აღაშფოთა რელიგიის, ტრადიციების, ოჯახის ინსტიტუტის წინააღმდეგ ბრძოლამ. ვფიქრობ, უახლოეს ხანში საქართველოშიც შეიცვლება პოლიტისტებლიშმენტი. ჩუგოშვილებს, ლომჯარიებს და საერთოდ ამ ფსევდოლიბერალებს იმან უშველა, რომ ამერიკის არჩევნებამდე ჩატარდა საქართველოს არჩევნები, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ასეთი საპარლამენტო სია იქნებოდა და არც ხელისუფლების შემადგენლობა. კარგი იქნებოდა აშშ-ის არჩევნები უსწრებდეს ჩვენს არჩევნებს, ხომ ვიცით, რეალურად იან კელიმ (რომის პროკურორი-ვით რომ წარმოგვიდგება ხოლმე) შეადგინა საპარლამენტო სია და თანამდებობებიც მან „გაანაწილა“. იგი პარლამენტშიც მიბრძანდა თავისი „მოწაფეების“ სანახავად, **ამერიკის საელჩომ ვარდების დიდი თაიგულიც მიართვა თამარ ჩუგოშვილს. ცოტა ხანში მარტო იან კელი კი არა, სხვებიც შეიცვლებიან, ამიტომ ჩვენი ხელისუფლება გონს დროზე უნდა მოეგოს, თორემ სრულიად მარტო დავრჩებით.** მთელმა მსოფლიომ შეცვალა რიტორიკა რუსეთის მიმართ, ჩვენ კი თურმე სანამ ტერიტორიებს არ დაგვიბრუნებს, არ დაველაპარაკებით, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს ხალხი მარტო პოლიტიკას კი არა, საერთოდ რეალობასაა მოწყვეტილი. ვფიქრობ, მსოფლიოს მსგავსად საქართველოს ხელისუფლებამაც უნდა შეცვალოს რიტორიკა და დავიწყოთ რუსეთთან საუბარი. მე დადებითად ვაფასებ ჩვენი პატრიარქის მოსკოვში ვიზიტს, იგი ეკლესიის საჭეთმპყრობელობის გარდა, დიდი პოლიტიკოსიცაა, ამ ბრძენმა ადამიანმა კარგად იცის, რომ დღეს საქართველოს ბედი მოსკოვში წყდება და არა ვაშინგტონში. Dარწმუნებული ვარ, რუსეთს თვითონაც უნდა ოკუპაციის მოხსნა, რადგან მათთვისაც დიდი საფრთხის მატარებელია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობის აღიარება, ჩრდილო კავკასიის ისედაც ფეთქებად საშიში რეგიონისთვის ეს შეიძლება გადამდები აღმოჩნდეს, მათაც მოითხოვონ დამოუკიდებლობა. რუსეთს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიერთების სურვილი რომ ჰქონოდა, ამ ტერიტორიებსაც ყირიმივით წაიღებდა, მაგრამ ამას არ აკეთებს, მათი დამოუკიდებლობის აღიარების უარყოფაც უჭირთ, დიდი ქვეყნისთვის ძალიან ძნელია ასე ვთქვათ, გადაფურთხებულის ალოკვა. ამიტომ, რაღაც გამოსავალი უნდა მოინახოს, მაგრამ ჩვენ ხელს არ ვუწყობთ, არ მივდივართ მოლაპარაკებაზე. ვფიქრობ, ჩვენმა ხელისუფლებამ იმის გათვალისწინებით, რა ხდება დღეს მსოფლიოში, აუცილებლად უნდა გადახედოს თავის პოლიტიკას, ნუ იქნებიან ჩუგოშვილებისა და სხვათა, ამ სექტანტების ტყვეობაში, იან კელის ყველაფერს ნუ დაუჯერებენ, რადგან მისი გუნდი უკვე დამარცხდა ამერიკაში, სხვა ხელისუფლება მოვიდა.

- ფაქტია, ეს ხალხი ყველა სახელისუფლებო შტოშია და ოთხი წელი კიდევ უნდა ვუყუროთ. ნინო ლომჯარიას სახელმწიფო აუდიტში დანიშვნა რომ გვიკვირს, ამ უწყების ხელმძღვანელი ლაშა თორდია ნაციონალების აქტიური სახე არ იყო და კიდევ რამდენი ნაციონალია მაღალ თანამდებობაზე?

- ამერიკაში ხელისუფლების შეცვლამდე კი მოასწრო ფსევდოლიბერალების სექტამ თანამდებობების დათრევა, მაგრამ შეიძლება მომავალ არჩევნებამდე ვერც მიაღწიოს ამ ვითარებამ. ამათ თუ ასეთი სისულელეები აკეთეს, მერწმუნეთ, ქართველი ხალხი არ მოითმენს, ვინმეს თუ ჰგონია, რომ საზოგადოება მათ წინაშე რაღაც ვალშია, ძალიან შემცდარა. პირადად მე, ამ ახალ სახეებად შემოსაღებულ ფსევდოლიბერალებს, ნამდვილად ვერ მოვითმენ, ახალი სახე სამშობიაროში გამიგია. პოლიტიკაში ახალ სახეებად ის ხალხი ითვლება, რომლებიც საჯარო სივრცეში ტრიალებდნენ და სიბინძურეებში არ გათხვრილან. ის ადამიანები, რომლებსაც გარდა იმისა, რომ არავითარი გამოცდილება არ გაჩნიათ, სახელმწიფოებრივადაც არ აზროვნებენ, ქვეყანას სიკეთეს ვერ მოუტანენ. საქართველოში როსტომ-ხანობა უნდა დამთავრდეს, თავის დროზე ისიც აშენებდა ციხე-სიმაგრეებს, ინფრასტრუქტურასაც ანვითარებდა, მაგრამ საქართველოს ისტორიაში კარგი სახელით არ შესულა. ასე რომ, მავანნი როსტომ-ხანს ნუ დაემსგავსებიან, ჩვენი ქვეყნისთვის უპირველესი ამოცანა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა, ეს ფსევდოლიბერალები გადაჭრიან ამ პრობლემას? არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დრო ჩვენს წინააღმდეგ მუშაობს. დამთავრდეს ნაციონალებზე საუბარიც, ქართველმა ხალხმა მათ 2012 წელს გამოუტანა განაჩენი, მომავალზე ვიფიქროთ, ხელისუფლებამ ქვეყანას მიხედოს. ამათ რაღა ბრძოლა უნდათ, უკვე ერთმანეთს დაერივნენ, უკვე „რუსთავი-2“ დასცინის მიხეილ სააკაშვილს. გეთანხმებით, რომ უამრავი ნაციონალია ხელისუფლებაში, ლაშა თორდიაც ნაციონალების დანიშნულია ამ თანამდებობაზე, უბრალოდ ახალმა ხელისუფლებამ ვერ გაათავისუფლა. ის ამათ ექვემდებარება, თორემ სურვილი რომ ჰქონოდათ, გაათავისუფლებდნენ. სისულელეა იმის თქმა, რომ ლომჯარია თორდიამ დაინიშნა მოადგილედ. ის ხალხი, რომლებიც იმ ცხრა წლის განმავლობაში რაღაც უბედურებებში ტრიალებდნენ, არ უნდა იყვნენ მაღალ თანამდებობებზე. თორდია შეიძლება მუშაობდეს

სახელმწიფო აუდიტში, მაგრამ რიგი განყოფილების უფროსი უნდა იყოს და არა სამსახურის ხელმძღვანელი, ანუ პოლიტიკის წარმმართველი. თუ ეს ხელისუფლება გულში ჩაიხუტებს ლომჯარიებს, გიგაურებს, მშვენიერაძეებს, მენაბდე რომ ყავთ კიდევ, სხვათა შორის, მაგათთანაც მიდის უკვე მოლაპარაკებები, ქართველი ხალხი მაგათ განაჩენს გამოუტანს. საბჭოთა კავშირის დროს, საქართველოში ცხოვრების ისეთი დონე იყო, რომ შვეიცარიას ეძახდნენ, მაგრამ ქართველმა ხალხმა შეცვალა ხელისუფლება, თან იმ მონსტრი წყობილების პირობებში. მავანთ ნუ ჰგონიათ, რომ ფესვები მყარად აქვთ გადგმული და მათ ვერ შეცვლიან.

მე ქართველი ჟურნალისტების მიკვირს, თუმცა სად გვაქვს ქართული ჟურნალისტიკა, თითზე ჩამოსათვლელი მედიასაშუალებების გარდა, ფსევდოლიბერალური ჟურნალისტიკაა, ერთხელ მაინც რატომ არ დაუსვეს ხელისუფლებას კითხვა, თუ ეს ცნობილი „ენჯეოშნიკები“ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ, თანამდებობაზე რატომ ნიშნავთო. ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად არ მომისმენია ეს კითხვა. ამ ხალხის თანამდებობაზე დანიშვნით რა გამოდის, ხელს უწყობ საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლას, მავანთ ეუბნები, რომ თუ მაღალი თანამდებობა გინდათ, მავნებლური საქმე აწარმოეთო. ამ პოლიტიკით, ის ხალხი, ვინც სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა, ხელისუფლების შტოებს მიღმა უნდა დარჩეს, მადლობის ღირსიც არ ყოფილან. ნუგზარ ნაჭყებია კონტროლის პალატიდან იმიტომ დაითხოვეს, რომ უკანონობა არ ჩაიდინა. უამრავი სპეციალისტი ვიცი, მათ შორის, ჩემი კოლეგა-იურისტები, რომლებიც სამსახურის უფროსებად დანიშნეს კი არა, საერთოდ არ გაიკარეს. სამართლიანობის აღდგენა მარტო იმას არ ნიშნავს, ვიღაც რომ დაიჭირეს, მისი საქმე გადასინჯო, სამართლიანობის აღდგენა ისიც არის, სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნილ, საშიმშილოდ გაწირულ ადამიანს უკან რომ დააბრუნებ. პოლიტპატიმრებზე ხშირად რომ საუბრობენ, რომელი მათგანი აღადგინეს სტატუსში, ზოგი მათგანი ხომ თანამდებობის პირი იყო? თანამდებობაზე დანიშნეს კი არა, სამსახურშიც არ მიუღიათ. სამაგიეროდ ფსევდოლიბერალებისთვისაა ყველა უწყების კარი ღია. მომავალ პარლამენტში დღეს კანტიკუნტად შემორჩენილი „ძველი გვარდიის“ წარმომადგენლები აღარ იქნებიან, ისევე, როგორც საკრებულოებში, 2017 წელს მათაც უპირებენ ჩანაცვლებას. **როგორც ჩანს, ჩვენი უხოელი პარტნიორები „ხავერდოვანი რევოლუციის“ მოწყობას გვიპირებენ, რომ ფსევდოლიბერალების კასტას გადააბარონ ხელისუფლება.** ვიმეორებ, ამას ქართველი ხალხი არ მოითმენს. უახლოეს ხანში ქართულ პოლიტიკაში გამოჩნდებიან ძალები, რომლებიც ამათ თავის ადგილს მიუჩენენ, იმიტომ რომ ბევრი მათგანი, როგორც ხელისუფლებაში, ისე მის გარეთ, მარტო სამსახურებიდან გასაშვებები კი არა, დასაჭერები არიან. ვინც წლების განმავლობაში მანქურთული და დაბეზღების პოლიტიკა აწარმოა, ინტრიგებით მოითბო ხელი და ხელისუფლებაში აღზევდა, პირველ რიგში, სწორედ მათ მოეთხოვებათ პასუხი.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

გიორგი ბურჯანაძე:

ხორცი და რძის პროდუქტები, რომლითაც ბაგა-ბაღები მარაგდება, უხარისხოა და ბავშვების საკვებად არ უნდა გამოიყენებოდეს!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია „იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე:

— უკვე მერამდენე წელია, ჩვენს მცდელობას, რომ ბაგა-ბაღებში მხოლოდ ხარისხიანი კვების პროდუქტები იქნას შეტანილი, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა თუ ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში მოკალათებული ჩინოვნიკების წინააღმდეგობა აწყდება. ადამიანთა გარკვეული წრის ფინანსურმა ინტერესებმა შექმნა კორუფციული სისტემა, რომელიც ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობას აზარალებს. სტატისტიკური ანალიზი ადასტურებს, რომ ბავშვებში მომატებულია თირკმელებისა და ნაწლავური დაავადებების რიცხვი და ამის მიზეზი უხარისხო კვების პროდუქტებია, რომლებიც არა მარტო პატარებს, დიდებსაც ვნებს.

— იქნებ უფრო გასაგებად აგვიხსნათ, რომელ უხარისხო პროდუქტებს გულისხმობთ და რა კავშირი აქვს ამას ბაგა-ბაღების აღსაზრდელებთან?

— მოგეხსენებათ, რომ ჩვენი კავშირი წლების მანძილზე ახორციელებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კვების ბლოკზე მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგად, სულ უფრო მეტი პრეტენზია გვიჩნდებოდა რძისა და განსაკუთრებით, ხორცის ხარისხთან დაკავშირებით. უმეტესად, ეს იყო საქონლის რბილი ხორცი, რომელშიც შერეული იყო კამეჩისა და ცხენის ხორცი. მეტსაც გეტყვით, ორი შემთხვევა მახსენდება, როცა ბაღებიდან მატლიანი ხორცი ამოვიღეთ. გამოსავალის ძიებამ გადაგვაწყვეტინა, რომ შექმნილიყო პროექტი -„სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში კვების ბლოკის საზოგადოებრივი კონტროლი“. პროექტის ფარგლებში, ბაგა-ბაღების თანამშრომლებს ბიზნეს-ოპერატორების მიერ შეტანილი ხორცი ფოტოზე უნდა აღებეჭდათ და ჩვენთვის გადმოეგზავნათ. ექსპერტთა ჯგუფისაგან შემდგარი კომისია ფოტომასალაზე დაყრდნობით, ახდენდა ვიზუალურ შეფასებას. თუ რომელიმე პროდუქტის ხარისხის მიმართ ეჭვი გაჩნდებოდა, დაუყონებლივ ლაბორატორიაში იგზავნებოდა. ამ პროექტის განხორციელება ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერით გახდა შესაძლებელი. სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელიაც დაგვეხმარა და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს პროექტის რეალიზაცია დაავალა. მართლაც, რამდენიმე თვის განმავლობაში, არაჩვეულებრივი შედეგი მივიღეთ. კვების ბლოკი აბსოლუტურად გამჭვირვალე გახდა. უხარისხო ხორცის შეტანის ფაქტები აღარ იყო და ნებისმიერ მშობელს შეეძლო სამზარეულოში საკუთარი თვალით ენახა, რას და როგორ ამზადებდნენ მისი შვილისთვის.

ყოველთვის გვიკვირდა, რატომ არ რეაგირებდა სურსათის ეროვნული სააგენტო ბაგა-ბაღებში აღმოჩენილ დარღვევებზე და შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ამის მიზეზი ცოლ ქმრული ურთიერთობა ანუ ინტერესთა კონფლიქტი იყო.

— თუ შეიძლება დაგვიკონკრეტეთ..

— ბაგა-ბაღების კვების ბლოკის მონიტორინგის უფროსი თამთა ამნიაშვილი და სურსათის ეროვნული სააგენტოს ანალიგიური სამსახურის უფროსი გია ჩაჩავა მეუღლეები არიან. მოგვიანებით, ქალბატონი თამთა ჩამოაშორეს სამსახურეობრივ საქმიანობას, მაგრამ იმას, რომ კვების ბლოკიდან ვიღაცეების ჯიბეებისკენ მილიონები მიედინებოდა და ეს ვიღაცეები მერიაში, ბაგა-ბაღების სააგენტოში და სოფლის მეურნეობის სამინისტროში არიან მოკალათებული, სრულიად დარწმუნებული ვარ. სამწუხაროდ, ხელისუფლებების ცვლილების მიუხედავად, სკოლამდელი აღზრდის სისტემაში წესრიგი ვერ დამყარდა. ჯერ ის იყო პრობლემა, რომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „ფუდსერვისი“, რომელსაც ძმები გეგენავები ხელმძღვანელობდნენ, ბაღებს უხარისხო პროდუქციით ამარაგებდა. შემდეგ ეს კომპანია შპს-ებმა ჩაანაცვლა, რამაც შეჯიბრებითობის პრინციპი აამუშავა, კონკურენტული გარემო შექმნა და პროდუქციის ხარისხის გააუმჯობესა, მაგრამ ერთი კომპანიის ხელში მონოპოლია ვიღაცეებისთვის უფრო მოსახერხებელი იყო და მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში ჩატარდა 31 მილიონიანი ტენდერი, რომელშიც შპს „ელფმა“ გაიმარჯვა და თბილისის ბაგა-ბაღების კვების ბლოკის მომარაგება საკუთარ ხელში აიღო.

— ბაგა-ბაღების დირექტორებთან შეხვედრისას, სააგენტოს ხელმძღვანელმა თემურ თორდინავამ განაცხადა, რომ ბაზარზე „ელფის“ შემოსვლით ბაღების კვებითი მომსახურების უფრო მაღალ სტანდარტებზე გადასვლის კუთხით სერიოზული განაცხადი გაკეთდა.

— რაც შეეხება „მაღალ სტანდარტებს“, მე მაქვს კონკრეტული ფაქტები, რომლებიც საპირისპიროს ამტკიცებენ და მზად ვარ, შესაბამის სამსახურებს გადავცე. ერთ კონკრეტულ მაგალითს გეტყვით, სათამაშოები, რომელთა ღირებულება 10 ლარია, შპს „ელფს“ ბაგა-ბაღებში 25 ლარად შეაქვს. კვების ბლოკში შეტანილი პროდუქცია კი ნამდვილად არ შეესაბამება ხარისხს, რომელზეც ტენდერი ჩატარდა. ბავშვები ნატურალური რძის პროდუქტების ნაცვლად, ფალსიფიცირებულ, პალმის ზეთზე დამზადებულ პროდუქტებს იღებენ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო კილოგრამ ხორცში 15 ლარს იხდის, ბავშვებამდე 5-6 ლარიანი, მდარე ხარისხის ხორცი მიდის. გვაქვს კამეჩის ხორცის შეტანის შემთხვევებიც. ანუ მდგომარეობის გამოსწორების ნაცვლად, მივიღეთ ის, რომ კორუფციულმა დაჯგუფებამ ჩამოაყალიბა თავისი ბიზნეს-ინტერესების გამტარებელი შპს და მისი საშუალებით ახდენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხების მიტაცებას. შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო სტრუქტურა თუ დაინტერესდება, მე ჩემს ხელთ არსებულ ყველა ინფორმაციას გადავცემ. სამწუხაროა, რომ კორუმპირებული ჩინოვნიკები ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობის ხარჯზე, მილიონებს აკეთებენ და 65 000 აღსაზრდელის ბედი არ აღელვებთ. წარმოიდგინეთ, 15 ლარიანი ხორცის ნაცვლად, ბაგა-ბაღებში 6 და 7 ლარიან ხორცს რომ შეიტან, რამხელა მოგებაზეა საუბარი.. ეს ფინანსური პირამიდა მორგებულია იმაზე, რომ ტენდერში გამარჯვებული შპს-ების უკან მდგარმა ადამიანებმა სახელმწიფო ბიუჯეტისა და ბავშვების ჯანმრთელობის ხარჯზე რაც შეიძლება დიდი ფინანსური მოგება მიიღონ. რა თქმა უნდა, მათთვის კვების ბლოკის გამჭვირვალობა ხელის შემშლელი ფაქტორი იყო და ყველაფერს გააკეთებდნენ მის შესაცვლელად.

— გაუქმებული პროექტის აღდგენას ხომ არ აპირებთ?

— ჩვენ რამდენჯერმე წერილობით მივმართეთ ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელობას და შევახსენეთ საკუთარი წესდება, რომელიც ბაგა-ბაღების კვების ბლოკში არსებული ვითარების გამჭვირვალობას ყოველგვარი პროექტების გარეშეც ავალდებულებს, მაგრამ ბატონ თემურ თორდინავას რატომღაც არ სურს საზოგადოებას ანახოს, როგორი „ხარისხიანი“ პროდუქტებით კვებავენ თავიანთ აღსაზრდელებს.

არასამთავრობოების ბრალდებებზე კომენტარისთვის „საერთო გაზეთი“ შპს „ელფს“ დაუკავშირდა. მამაკაცმა, რომელმაც თავი უფროს მენეჯერად გაგვაცნო, (თუმცა, ვინაობის დასახელებისგან თავი შეიკავა), ბრალდებებს სიცრუე უწოდა და კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადა. ანტიკორუფციული კავშირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სიცრუეს უწოდებენ ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოშიც. თემურ თორდინავას უწყების განმარტებით, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მხოლოდ მაღალი ხარისხის და სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი პროდუქტები შედის, რაშიც სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვის შემთხვევაში, ნებისმიერ მსურველს შეუძლია თავად დარწმუნდეს.

საბავშვო ბაღის კვების ბლოკში არაუფლებამოსილი პირების შესვლა, შესაბამისი ნებართვის გარეშე, ყოველთვის აკრძალული იყო. თუმცა ბაღის ადმინისტრაციის ან თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსგან მიღებული ნებართვის შემთხვევაში,დაინტერესებულ პირს, მათ შორის, აღსაზრდელის მშობელს, ნებისმიერ დროს შეუძლია, შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენურ წესების დაცვით (ბახილები, ქუდები, ხალათები) შევიდეს სამზარეულოში, დაათვალიეროს გარემო, საკვების მომზადების პროცესი და თავად მომზადებული საკვებიც.

ხარისხის შემოწმების მიზნით, 10 ნოემბერს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ აღებული იქნა საბავშვო ბაღში შესული პროდუქციის (ხორცის და ყველის) ნიმუშები. დასკვნის თანახმად, პროდუქტი მაღალხარისხიანია და შეესაბამება ვარგისიანობის სტანდარტებს. გარდა ამისა, საბავშვო ბაღში შესულ პროდუქტს ვიზუალური დათვალიერებით თავად ბაღის დირექტორი აკონტროლებს და რაიმე პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, მას შეუძლია, არ მიიღოს ის, თუმცა ასეთი შემთხვევა ამ დრომდე არ დაფიქსირებულა. კომპანია „ელფს“ ბაღებში შეაქვს კომპანია „ნატურალ პლუსის“ რძის პროდუქტი, რომელსაც აქვს საერთაშორის სერტიფიკატები - „HACCP“ და “ISO 9001”. რაც შეეხება ხორცს, საბავშვო ბაღებში ხორცი შედის ნატახტრის სასაკლაოდან. აღნიშნული სასაკლაო საქართველოში პირველი იყო, რომელსაც „HACCP“-სა და “ISO 9001”-ის სერტიფიკატები მიენიჭა. გარდა ამისა, საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის განკუთვნილ ხორცს რეგულარულად ამოწმებს სურსათის ეროვნული სააგენტო. რაც შეეხება ინფორმაციას, თითქოს ბიუჯეტიდან ერთ კილოგრამ ხორცზე 16 ლარი გამოიყოფა, ბაღებში კი 6-7 ლარიანი ხორცი შედის, ეს არის სიცრუე, რადგან ტენდერი გამოცხადდა კვებით მომსახურებაზე და არა მის ცალკეულ კომპონენტზე. ტენდერის თანახმად, გამარჯვებულ კომპანიას ევალება არა მხოლოდ კვების პროდუქტებით მომარაგება, არამედ საკვების მომზადებაც, დასუფთავების სამუშაოებიც, ნარჩენების მართვაც და სამზარეულოს თანამშრომლების მუდმივი ტრენინგი და კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა.

ნელი თორდია
571 35 36 88

დავით ნემსაძე:

მალე დავდებ დოკუმენტებს, რომლითაც მტკიცდება, რომ გენერალი, რომელიც ახლახან დააწინაურეს, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, ბრძოლის ნაცვლად, მიწის ნაკვეთების გადაფორმებით იყო დაკავებული

ჯარისკაცებისგან ფულის აკრეფას ლოჯისტიკის სამსახური ახორციელებდა, მაგრამ სად მიდიოდა ეს ფული, 1 მილიონ 560 ათასი ლარი, არავინ იცის...

„საერთო გაზეთის“ სტუმარია, თადარიგის ოფიცერი, სამხედრო ბლოგერი, არასამთავრობო ორგანიზაციის - „უფლებადამცველთა სახლის“ სამხედრო მიმართულების უფროსი, დავით ნემსაძე.

- ბატონო დავით, როგორც ჩემთვის ცნობილია, „უფლებადამცველთა სახლი“ საქართველოში ერთადერთი არასამთავრობო უწყებაა, რომელიც ჯარისკაცების უფლებებს იცავს. ვინ ხელმძღვანელობს ამ ორგანიზაციას და, კიდევ, აქვს თუ არა თავდაცვის სამინისტროს თქვენთან საქმიანი ურთიერთობა?

- „უფლებადამცველთა სახლი“ მდებარეობს თბილისში, ანტონ ფურცელაძის 14-ე ნომერში და წარმოადგენს არასამთავრობო სექტორის კოალიციას. მას სათავეში უდგას **მამუკა ტუსკაძე** - სამართალდამცველი, მაღალი კვალიფიკაციის იურისტი და,

რაც მთავარია, საკაშვილის რეჟიმის პოლიტიკური პატიმარი. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ გერმანიის თავდაცვის სამინისტროსთან, რომელიც მრავალი წელია ეხმარება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს განვითარების და აღმშენებლობის საკითხებში. გერმანელ მეგობრებთან ერთად ვამზადებთ საინფორმაციო ბროშურას სახელწოდებით **„ჯარისკაცების უფლებების დაცვა“**. ამისთვის ჩვენ ვეცნობით გერმანული არმიის სამხედრო-სამართლებრივი სკოლის მდიდარ გამოცდილებას და გვსურს ეს გამოცდილება არა ბრმად, არამედ გონივრულად (ანუ ის ქმედებები, რაც შეესაბამება ქართველის მსოფლმხედველობას) გადმოვიტანოთ ჩვენ ჯარში.

სამწუხაროდ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს არავითარი სურვილი არ აქვს ჩვენთან თანამშრომლობისა. პირიქით, გვემალება. მაქვს ინფორმაცია, რომ სამინისტროს ზოგიერთი ხელმძღვანელი პირი ინტერნეტში მხოლოდ ჩემი სოციალური გვერდის დათვალიერებით არის დაკავებული.

- თქვენ ახლახანს დაგიბარეს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში დაკითხვაზე. რატომ?

- დეპარტამენტში ჩემს მიერ შეტანილ პირადი განცხადების გამო.

- რა საკითხთან დაკავშირებით?

- თავდაცვის სამინისტრომ, კონტრაქტის საფუძველზე, ჯარისკაცებს უფასოდ უნდა გადასცეს სავალდებულო აღჭურვის ნივთები. ეკიპირების ნაწილი გადმოგვცეს უფასოდ, ნაწილი კი მოგვყიდეს. დედაშენის შვილი იყავი და არ გეყიდა! ეგრევე საყვედურს გიცხადებდნენ ან გარკვეულ თანხას ხელფასიდან გიქვითავდნენ.

- როდის ხდებოდა ეს ამბავი, ბატონო დავით?

- თინათინ ხიდაშელის მინისტრობის დროს.

- რა შედიოდა აღჭურვაში? სამხედრო მოსამსახურეებს რაში გამოართვეს ფული და რა მისცეს უფასოდ?

- უფასოდ გადმოგვცეს ფორმა, ჩექმები, ბარი, კარდალა, დაზიანებული სანათური, განტვირთვის ჟილეტი, აღჭურვილობის ქამარი, საწვიმარი ლაბადა. გვაყიდინეს: კომპასი, თოკი, ოფიცრის ჩანთა, პულვიმეტრი, საკანცელარიო ნივთები და უამრავი სხვა რამ.

ნივთების შესყიდვას და ფულის აკრეფას ლოჯისტიკის დეპარტამენტი ახორციელებდა, მაგრამ სად მიდიოდა ჩვენგან აღებული ფული, არ ვიცი.

- რამდენს იხდიდა საკუთარ ჯიბიდან თითოეული ჯარისკაცი?

- სულ მცირე, სამოც ლარს. ახლა, ეს თანხა გავამრავლოთ 26 ათასს სამხედრო მოსამსახურეზე და ვიღებთ **1 მილიონ 560 ათას ლარს.**

- ეს ხომ ძალიან დიდი თანხაა!

- დიახ, მილიონნახევარზე მეტი; ხოლო, ვინ ჭამდა ამ ფულს მათი ვინაობის გამოვლინება საგამოძიებო ორგანოებისთვის არ უნდა იყოს რთული. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტში დაკითხვის დროს თან მახლდა ადვოკატი **გიორგი ლაბაძე**. ადვოკატი რომ არ ყოფილიყო, ჩემი საუბარი გამომძიებელთან ასე მშვიდად არ დამთავრდებოდა. დაკითხვისას ბევრი ნაძირალა შემოვიდა ოთახში. მათ ასეთი საქმეების „გაპრავებაში“ დიდი გამოცდილება აქვთ.

- მაინც, ვინ შემოვიდა?

- ერთ-ერთი მათგანი გახლდა **მიხეილ ჭანუყვაძე,** რომელმაც საზენიტო-სარაკეტო სისტემების განიავების საქმე „თაროზე შემოდო“. დამატებით გეტყვით, რომ მიხეილ ჭანუყვაძე სამჯერ იყო ნასამართლევი, მათ შორის, ნარკოტიკზეც.

- მერე, როგორ მუშაობს თავდაცვის სამინისტროში, თანაც გამომძიებლად, ასეთი წარსულის პატრონი? ქვეყანა ჩალით არის დაფარული თუ, რა?

- სამაგიეროდ ჭანუყვაძე არის უყოყმანო შემსრულებელი, და სწორედ რომ ასეთები სჭირდებათ ქვეყნის სამხედრო უწყებაში. ბატონი ჭანუყვაძე ისე გათავხედდა, რომ ჩემი ადვოკატის დამადასტურებელი მოწმობა დააქსეროქსა!

- მას ამის უფლება ჰქონდა?

- რა თქმა უნდა, არ ჰქონდა. ჭანუყვაძეს ამის უფლება ჩვენ თავად მივეცით, რადგან დასამალი არაფერი გვაქვს.

- სამხედრო აღჭურვილობის საქმეს ვინ იძიებს?

- პოლკოვნიკი **ალეკო მაისურაძე**, რაც არ არის, ჩემი აზრით, შემთხვევითი.

- ალეკო მაისურაძე? რომელიც რიგითი ერიკ კარაპეტიანის საქმეს იძიებდა? ამაზე ხომ ჩვენი გაზეთი წერდა.

- პოლკოვნიკი მაისურაძე რიგითი კარაპეტიანის საქმეს იძიებდა და „ჩაფარცხა“ ის კიდეც. ისე, ცოდვას თავზე ვერ ავიღებ, ალეკო მაისურაძე ცუდი პიროვნება არ არის. ვერ დავაბრალებ, რომ მან როდესღაც რაიმე უკადრებელი იკადრა. სამწუხაროდ, რაც დაავალეს ის შეასრულა. დაკითხვის დროს მან აღიარა, რომ კარაპეტიანის საქმეში თქვენ მართალი იყავით, მაგრამ მე, რა მექნაო?... ადვოკატ გიორგი ლაბაძის თანდასწრებით, პოლკოვნიკ მაისურაძეს სამხედრო აღჭურვის საქმის თაობაზე ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდე. ვნახოთ, რას მოიმოქმედებს გამოძიება. საქმე დიდ თანხას ეხება! ერთი დეტალიც, დაკითხვის შემდეგ, სანამ მანქანასთან მივიდოდით, სამხედრო პოლიციის ოპერთანამშრომელი ისე უნიჭოდ გვითვალთვალებდა, რომ გამეცინა.

- ბატონო დავით, თავდაცვის სამინისტროში მომხდარ საკადრო ცვლილებებზე რას გვეტყვით?

- შეიცვალა გენერალური შტაბის მთელი შემადგენლობა. ჩემდა გასაკვირად, ძალიან მაღალ პოსტზე ისეთი ადამიანი დაინიშნა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს თბილისში მიწის ნაკვეთებს იფორმებდა. საჯარო რეესტრის სარეგისტრაციო ცნობარი ამ სამარცხინო ფაქტს ადასტურებს, ანუ იმ დროს, როცა საქართველო ტერიტორიებს კარგავდა, ეს გენერალი მიწის ნაკვეთების გაფორმებით იყო დაკავებული.

ფაქტი ჯიუტია. 2008 წლის აგვისტო დროის ის მონაკვეთია, როცა საკაშვილის ბანდამ დიდძალი ქონება „გადაიფორმა“ და „საკუთარ თავს აჩუქა“, უფრო გასაგებად, ყაჩაღურად მიიტაცა. ხომ გსმენიათ, ომი ყველაფერს ჩამოწერსო...

- ვისზე საუბრობთ?

- ახლო ხანებში თავდაცვის სამინისტროსაც და თქვენც წარმოგიდგენთ ამ ბრალდების დამადასტურებელ დოკუმენტებს და ამ ადამიანის სახელსაც მაშინ ვიტყვი.

- პოლკოვნიკ ნიკოლოზ ჯანჯღავაზე, როგორი აზრის ხართ?

- ო, ამ პიროვნებაზე ბევრი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ ახლა მოკლედ შემოვიფარგლები. **ნიკოლოს ჯანჯღავა** დავით თევზაძის მინისტრობისას იყო კოჯრის სპეცდანიშნულების ბატალიონის მეთაური. თუ გახსოვთ, მაშინ ჯანჯღავამ მოაწყო ჯანყი. შემდეგ, საკაშვილის მიერ წახალისებულმა ჯანჯღავამ შექმნა ისეთი უტვინო რეზერვების სისტემა, რომელმაც 2008 წლის აგვისტოს ომში გამოიწვია რეზერვისტების - ახალგაზრდა ბიჭების უაზრო დაღუპვა... თბილისის ზღვაზე ჩატარებული წვრთნების დროს, ჯანჯღავამ ვერ უზრუნველჰყო სათანადო უსაფრთხოების ზომები, რის გამოც დაიღუპა ერთი ჯარისკაცი... როდესაც ნიკოლოზ ჯანჯღავა იყო ოპერატიული დაგეგმარების დეპარტამენტის უფროსი, მისი „გამოჩენილი საორგანიზაციო ნიჭის“ წყალობით, გონიოს სწავლებაზე დაიღუპა ორი მყვინთავი... კიდევ, როცა გოგავა გენშტაბში უფროსობდა, პირადად ჯანჯღავამ და მისმა „დამხმარე“ პირებმა, მემორიალური დაფიდან ჩამოხსნეს ქვეყნის ტერიტორიალური მთლიანობისთვის დაღუპული მეომრების სურათები და სარდაფში ჩაყარეს... არადა, თავად ნიკოლოზ ჯანჯღავას ტერიტორიულ მთლიანობისთვის გამართულ არცერთ ომში მონაწილეობა არ მიუღია.

- მაშ, როგორღა გახდა ნიკოლოზ ჯანჯღავა პოლკოვნიკი?

- ჯანჯღავას კარიერული წარმატების ფორმულა ძალზე მარტივია - ჯანჯღავას დედა საკაშვილის დედის - გიული ალასანიას მეგობარია. მე მინდა, საზოგადოებამ გაიგოს, რომ თავდაცვის სამინისტროში, მიუხედავად ახალი მინისტრის მცდელობისა, ჯერჯერობით ვერ აღიკვეთა „ნაციონალების“ თარეში და ფინანსური მაქინაციები! ნათელზე ნათელია საკადრო საბოტაჟი. მაგალითად, მაღალი დონის პროფესიონალი, ბრიგადის გენერალი, გიორგი სურმავა მოხსნეს და მის მაგივრად პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავა დანიშნეს. რა არის ამის მიზეზი? ფაქტია, ჯანჯღავას გენერლობა უნდა და გენერალი სურმავა ამ „სურვილს“ შეეწირა. თავად გიორგი სურმავა მშვენიერი ადამიანია, ბრწყინვალე „შტაბისტი“. სულ მიკვირდა, როგორ „იტანს“ სამინისტროს ხელმძღვანელობა ასეთ სამაგალითო პიროვნებას? ხანდახან ფიქრიც გამიელვებდა, უთუოდ მალე მოიშორებენ-თქო; და, აგერ, ისე აგიხდათ ყველა სურვილი!..

არაუშავს. ჩვენ ორგანიზაციას - „უფლებადამცველთა სახლს“ საქართველოს სამხედრო უწყების პულსზე უდევს ხელი და მის არასაიდუმლო შემოწმებას ეწევა. ჩვენი მისია ამაშია - დავიცვათ ის, ვინც ქვეყანას იცავს!

გიორგი კორძაძე
571 77 61 95

ის, რაც ამერიკაში მოხდა, ეს იყო რევოლუცია, თუმცა ამის გაგება საქართველოში რატომღაც ჯიუტად არ სურთ

ჩვენ ისევ ნატოში მივდივართ, იმ ნატოში, რომელზეც ტრამპმა განაცხადა, რომ ზედმეტი ინსტიტუტია და აშშ-ის ადმინიტრაცია ამ ბლოკს აღარ დააფინანსებს

გვესაუბრება სახალხო მოძრაობა „სოციალისტური საქართველოს“ ლიდერი, ბატონი ვალერი კვარაცხელია

— ბატონო ვალერი, უკანასკნელი ცნობებით, გალში რუსული საგუშაგოები გახსნეს. შემოჰყავთ ათასობით რუსი ჯარისკაცი. ლაპარაკია იმაზეც, რომ, მოსალოდნელია, გალი სამხედრო ქალაქად გამოცხადდეს.

— მე ახლა არ დამიწყია ამაზე საუბარი. ათეული წლები შევალიე იმის შეგონებას, — არასწორი გზით მივდივართ და გამოვფხიზლდეთ-მეთქი. საქართველოს დაშლის პროცესი დამთავრებული კი არ არის ჯერ, არამედ დაწყებულია და ფინალი გაცილებით მძიმე იქნება, ვიდრე წარმოგვიდგენია.

ახალი მოვლენები ხდება მსოფლიოში და ჩვენ ამას ალღო ვერ ავუღეთ.

2007 წლის მიუნხენის კონფერენციაზე პუტინმა განაცხადა: დამთავრდა ერთპოლარული სამყარო, რადგან ამას მსოფლიოსთვის უბედურების მეტი არაფერი მოუტანია და ეს ეპოქა წარსულს უნდა ჩავაბაროთო. ჩვენ მაინც ვერაფერი გავიგეთ და ჯიქურ გავაგრძელეთ სვლა გაურკვეველი მიმართულებით.

— თითქმის იგივე ტიპის განცხადებები გააკეთა ახლახან დონალდ ტრამპმაც.

— დიახ, იქეთკენ მივდივარ.

პუტინის მოსვლით მაშინ ჩვენ გამოგვეგზავნა ერთგვარი შეტყობინება, რომ მსოფლიოში რაღაც იცვლებოდა, მაგრამ ხელისუფლება რომ ხარ, რაღაც რეაგირება ხომ უნდა მოახდინო.

ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია აშშ-იო.

ამ ამერიკაში მოხდა რევოლუცია, საქართველოს ხელისუფლება კი ოდნავ არ შეტოკებულა...

აშშ-ის პოლიტიკამ, რომელსაც დაუპირისპირდა ტრამპი, თვით აშშ შეიყვანა ჩიხში.

ტრამპმაც პუტინისდაგვარად თქვა, მსოფლიო უნდა შეიცვალოსო და არ შეიძლება ამერიკამ გაარძელოს ის პოლიტიკა, რამაც იმსხვერპლა თვით ამერიკა. ამერიკამ ჩიხში შეიყვანა მსოფლიო და თვითონავ შეჰყვა მერე ამ ჩიხში. ამის გაცნობიერება დაიწყეს არა მხოლოდ ამერიკელმა პოლიტიკოსებმა, არამედ ხალხმაც.

პირველმა ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმა გააცნობიერა ეს და ე. წ. მესიჯები გაგზავნა მსოფლიოში. ჩვენც მსოფლიოს ნაწილი ვართ და ხომ უნდა მივხვდეთ ამას.

ტრამპმა ისიც თქვა, ყირიმი უნდა ვაღიაროთ რუსეთის შემადგენლობაში, სირიის, უკრაინის საკითხებში უნდა ვითანამშრომლოთ რუსეთთან და მასთან სანქციების ენაზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ პარტნიორობის ენაზეო.

ეს რევოლუციური განცხადებებია.

ვინმე გვეტყვის და არის კიდეც ასე — აშშ-ი ინსტიტუციონალური ქვეყანაა და პრეზიდენტს, რასაც უნდა, იმას არ გააკეთებინებენ. ყოფილა პრეცედენტი, აშშ-ში პრეზიდენტისთვის შუბლში ტყვიაც დაუხლიათ, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ახლა ამერიკაში რევოლუცია საზოგადოებრივ ცნობიერებაში მოხდა და რევოლუციურ ცვლილებას ხალხმა დაუჭირა მხარი.

ტრამპისშემდგომი ამერიკა უკვე ვეღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო ადრე. ტრანსნაციონალური, ბანდიტური ფსიქოლოგია, ბანდიტური პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებდა აშშ-ი ახლო აღმოსავლეთში, ვიეტნამში, ხიროსიმასა და ნაგასაკში, კორეაში, იუგოსლავიაში და ა. შ. ეს პოლიტიკა ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა, ანუ ამერიკულმა პოლიტიკამ კრახი განიცადა. ამ დროს საქართველოში ჯერ არაფრის აზრზე არ არიან.

ჩვენ ისევ ნატოში მივდივართ, იმ ნატოში, რომელზეც ტრამპმა განაცხადა, რომ ზედმეტი ინსტიტუტია და აშშ-ის ადმინიტრაცია ამ ბლოკს აღარ დააფინანსებს.

— რას ფიქრობთ, როგორი დამოკიდებულება იქნება ამ განცხადებაზე ევროპის მხრიდან?

— ევროპა, უხეშად ვიტყვი, ყირაზე დადგა ტრამპის გაპრეზიდენტების ფაქტის წინაშე. აღშფოთდნენ და შეშფოთდნენ ჩვეულებისამებრ, მაგრამ ნელ-ნელა შეგუება დაიწყეს. უნდა ითქვას, ამერიკის ძველი პოლიტიკის შეცვლამ უშველა კიდევაც ევროპას, რადგან ეს პოლიტიკა დამანგრეველი იყო ევროპისთვის.

ტრამპის ოპონენტის ჰილარი კლინტონის გამარჯვება სჭირდებოდა არა ევროპას, არამედ ევროკავშირის „ვერხუშკას“, რომელთაც სურდათ, არსებული მდგომარეობა შენარჩუნებულიყო.

თუ ხანდახან ტელევიზორს უყურებ, ან გაზეთებს გადაფურცლავ, გაიგებ, რომ ევროკავშირს დიდი დღე უკვე აღარ უწერია. ამიტომაც ევროკავშირის „ვერხუშკა“ რა პოზიციას დაიჭერს, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. რაც მოხდა ამერიკაში, გაგრძელდება.

ტრამპსა და პუტინს შორის სატელეფონო საუბრები უკვე გაიმართა. მალე, ალბათ, შეხვედრაც შედგება და რაღაც სახის კონსენსუსამდე მივლენ, ანუ ახალი მსოფლიო წესრიგის შესახებ შეთანხმდებიან. გავლენის სფეროების გადანაწილების შედეგად ჩვენ სად აღმოვჩნდებით, ლოგიკურად, ნათელია. ჩვენ ვერ გადავსახლდებით ვერსად. ვიქნებით აქ, სადაც ვართ, მაგრამ არავინ იცის, რას მოილაპარაკებენ ამ ორი უზარმაზარი სახელმწიფოს ლიდერები. რუსეთმა რომ წაუყენოს წინადადება აშშ-ს, მაგალითად, დამითმე, გადმომეცი კავკასიის ქვეყნები ჩემი გავლენის სფეროებშიო, აშშ-ი სიამოვნებით გააკეთებს ამას, რადგან სიტუაცია მსოფლიოში ისე შეიცვალა, ამერიკა მსოფლიო ჰეგემონობის პრეტენზიებს თანდათან თმობს. იმის მიუხედავად, რომ 18 ტრილიონი დოლარი საგარეო ვალი აქვს და ორი ამდენი საშინაო, ის მაინც უძლიერესი სახელმწიფოა, ბირთვული ზესახელმწიფო, მაგრამ ახალი მსოფლიო წესრიგის მოცემულობაში მას ინტერესები აღარ აქვს არც კავკასიაში და არც, საერთოდ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. გამორიცხეთ ეს. კი, ბატონო, მოსალოდნელია არეულობები, პოლიტიკური ცუნამები, მაგრამ ეს „ოკეანე“ ოდესმე დაცხრება და ჩვენ დავინახავთ, რომ ისევ იქ ვართ, სადაც ვიყავით.

— წეღან გალზე გკითხეთ და არ მიპასუხეთ. მაშინ სხვანაირად გკითხავთ — ის ძალები, რომლებიც ნატოს წარმომადგენლებად ითვლებიან საქართველოში, მათ შორის ჰილარი კლინტონის მომხრეები, აგრძელებენ ამერიკის გუშინდელი დღის პოლიტიკას, ხომ არ შეიძლება გალის სამხედრო ქალაქად გამოცხადება ტრამპის გაპრეზიდენტების საპასუხო ქმედება იყოს?

— შემთხვევით არ მითქვამს წეღან, რომ აშშ-ის ისტორიას ახსოვს პრეზიდენტებისთვის შუბლის გახვრეტა. ტრამპის არჩევით უდიდესი ნაბიჯია გადადგმული, მაგრამ ჯერ მას მმართველობის სადავეები ხელში არ აუღია. იქაც და აქაც, ჩვენთან, კვლავ ძველი ძალები დგანან და არავინ იცის, ტრამპის ინაუგურაციამდე რა მოხდება. ამიტომ გამორიცხული არ არის, იანვრამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი ზრახვების განსახორციელებლად.

თუ შეგვიძლია ჩვენ ვივარაუდოთ, კრემლს უფრო მეტად შეუძლია ყველაფრის პროგნოზირება და გათვლა, თანაც ყოველივეს ზურგს რუსული უძლიერესი სტრუქტურები უმაგრებს. ამიტომ, მე ვფიქრობ, გალში მიმდინარე პროცესები არის პრევენცია იმისა, რაც შეიძლება მოხდეს აშშ-ის რეაქციული ძალებისგან. გინდათ აშშ-ში, გინდათ — ჩვენთან.

ამას გარდა, ვიდრე რეალობა არ შეიცვლება, არ გექნება ხელმოწერილი დოკუმენტი რუსეთსა და საქართველოს შორის თამამშრომლობის შესახებ, მანამდე რაც უნდა მოხდეს მსოფლიოში, ამერიკაში, ევროპაში, ჩვენი მდგომარეობა იქნება ისეთივე, როგორიც იყო აქამდე.

ტრამპის არჩევის შემდეგ კარასინმა განაცხადა: კავკასიაში ახალი რეალობაა შექმნილი და საქართველო ამას უნდა შეეგუოსო. რატომ თქვა კარასინმა ეს ახლა, ამერიკის არჩევნების შემდეგ? იმიტომ რომ, ახალი რე-

ალობა დგება და გათვალისწინებული აქვთ რეაქციული ძალების მოსალოდნელი მოქმედებები.

ქართულმა მხარემ ზურაბ აბაშიძის პირით ზუსტად ძველი ტექსტით უპასუხა ამ განცხადებას: საქართველო არასოდეს შეეგუება იმას, რასაც ლაპარაკობს ბატონი კარასინიო. მოკლედ, ისევ ძველი მიდგომები, ძველი სიმღერა, რომელმაც სიკეთე არ მოგვიტანა.

მინდა გითხრათ, რომ არავისი არ მჯერა – არც პარლამენტარების, არც მინისტრების, არც პრემიერ-მინისტრის, არც პრეზიდენტის, მე მჯერა ერთი კაცის – ბიძინა ივანიშვილის.

დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილი, რომელიც უდაოდ ნიჭიერი კაცია, საქართველოს მშვიდობიანად გამოიყვანს შექმნილი მდგომარეობიდან.

მე, სოციალისტური მსოფლმხედველობის კაცი, შეუძლებელია მილიარდერის მხარდამჭერი ვიყო, მაგრამ საქართველოში, ისევე როგორც ამერიკაში, სპეციფიკური ვითარებაა – კლინტონისა და, საერთოდ, ტრანსნაციონალური პოლიტიკის, ამ მსოფლიო ბოროტების ფონზე, მილიარდერი ტრამპი წმინდანივით და ციდან ჩამოფრენილი, სუფთა კაცივით გამოიყურება.

ამ ვითარებაში, როგორ შეიძლება მსფლმხედველობრივი განსხვავების გამო მის მოსვლას არ მიესალმო. ასევეა საქართველოშიც. სააკაშვილის ფაშისტური ხროვის შემდეგ ბიძინა ივანიშვილის მოსვლა მართლაც განუზომელი შვება იყო ჩვენი ქვეყნისთვის. ამიტომ მისი მმართველობა სულაც არ მიშლის ხელს, რომ ამ ეტაპზე მას გულით დავუჭირო მხარი.

– რას ფიქრობთ, 8 ნოემბერს რომ ყოფილიყო საქართველოს პარლამენტის არჩევნები, ხოლო 8 ოქტომბერს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები, რა რეალობა გვექნებოდა?

– აბსოლუტურად სხვა რეალობა იქნებოდა, სხვა შემადგენლობის პარლამენტს მივიღებდით, არჩევნებზე ქართველი ამომრჩევლის 51% კი არ მოვიდოდა, არამედ გაცილებით მეტი და რაც მნიშვნელოვანია, ყუთებთან მივიდოდა გაცილებით მოტივირებული ამომრჩეველი.

– თქვენს პარტიასაც, ალბათ, არ მოხსნიდნენ არჩევნების რეგისტრაციიდან.

– შესაძლებელია, არ მოვეხსენით.

– ახალი მინისტრთა კაბინეტი მოგწონთ?

– ამერიკაში მიმდინარე ცვლილებების შემდეგ ნამდვილად არ მოველოდი ამ მინისტრთა კაბინეტის შემოთავაზებას... კვლავ გავიმეორებ, ჩვენ წარსულში ჩავრჩით... ამ მთავრობას და პარლამენტს სიახლის შეთავაზება ქვეყნისთვის არ შეუძლია. სამწუხაროდ, ასეა...

– გამოსასვალს ხედავთ?

– ეს არის, ალბათ, შეკითხვა, რომელიც ზოგად პასუხს ითხოვს.

საქართველოს პარლამენტს, ამ სიტუაციაში, უნდა ეყოს გონიერება და ძალა, რომ ეროვნული ღირებულებები წამოსწიოს წინ.

წლეულს რუსთაველის საიუბილეო წელია.

არავის გახსენებია ეს არც პარლამენტს, არც პრეზიდენტს, მაგრამ რა გაახსენდათ უკეთესი, ესეც საკითხავია.

შესაცვლელია ჩვენი დღევანდელი სახელმწიფო ჰერალდიკა, დროშა, ჰიმნი...

რამდენი რამ არის გასაკეთებელი და ჩვენი პარლამენტარები კი ერთმანეთს ლანძღავენ ან ამთქნარებენ საპარლამენტო სხდომებზე.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

გრიგოლ გაგნიძე: მარიხუანას ლეგალიზების მოთხოვნა ეს არის საბოტაჟი ქართველი ხალხის წინააღმდეგ

გვესაუბრება ადვოკატი, უფლებადამცველი, ბატონი გრიგოლ გაგნიძე.

— ბატონო გრიგოლ, პოლიტიკური ორგანიზაცია „გირჩი“ და მისი ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე ინიციატივით გამოვიდა — მარიხუანის ლეგალიზაცია კანონმდებლობით უნდა იყოს გამყარებულიო. რას ფიქრობთ ამ ინიციატივაზე?

— ცოტა შორიდან დავიწყებ. კარგად მახსოვს, „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენლები ხელისუფლებაში ყოფნისას წამოაყენებდნენ ხოლმე ამა თუ იმ ინიციატივას ნარკოლიბერალიზაციაზე, მაგრამ შემდეგ რეაგირებას არ ახდენდნენ.

ახლახან კი წამოსწიეს საკითხი — პარლამენტმა მიიღოს ცვლილება მარიხუანის ლეგალიზაციის შესახებ და თავგანწირვით ითხოვენ მის ინიცირებას. ჩემი აზრით, ეს არის არაჯანსაღი და პოპულისტური ინიციატივა.

ყველასთვის ცნობილია, თუ ლეგალიზაცია მოხდა, ვინც დაზარალდება ყველაზე მეტად, ახალგაზრდობა იქნება.

ამ ინიციატივას, მოსახლეობის ჯანსაღი ნაწილი, რა თქმა უნდა, შეეწინააღმდეგება, რადგან მარიხუანის მოხმარება პირველი ნაბიჯია მძიმე ნარკოტიკის მოხმარებისკენ.

საყოველთადო ცნობილია, მარიხუანის მომხმარებლები არიან პოტენციური ნარკომანები და მაშინ, როცა „ნაცმოძრაობის“ მმართველობისას, ნარკოლიბერალიზაციაზე რეალური ნაბიჯები არ იდგმებოდა, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში, ოპოზიციაში ყოფნისას პარლამენტის წინააღმდეგ საჩივრით, მიაღწიეს იმას რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის № 1/4/592 გადაწყვეტილებით, 260-ე მუხლში ცვლილებების შეტანით მოახდინეს 70 გრ-მდე მარიხუანის

„ლეგალიზაცია“, ანუ პირს პირადი მოხმარებისათვის სისხლის სამართლის პასუხიმგებლობა არ ეკისრება. ამასთანავე, ეს კატეგორია ხშირად ამბობდა, რომ ნარკოდამოკიდებულობა ავადმყოფობაა და არ უნდა ისჯებოდნენ ციხეში ჩასმით, უნდა შექმნილიყო ნარკოსარეაბილიტაციო დაწესებულებები, ახლა უკვე მარიხუანის სრულ ლეგალიზებას ითხოვენ. შეიძლება ითქვას, დასცინიან ხალხს ?! ამით სახელმწიფოს კი არა, ერს, ხალხს უწყობენ საბოტაჟს და ითხოვენ ქართველი ერი გამოცხადდეს ავადმყოფ ერად?!. ეს არის თავხედობის კულმინაცია .

— ჯაფარიძემ პირდაპირ ეთერში განაცხადა, დეკემბერში საკანონმდებლო დონეზე თუ არ მოხდება ამ ინიციატივის ლეგალიზება, „გირჩის“ ოფისში მარიხუანას დავრგავთო. ანუ საჯაროდ მძიმე დანაშაულს ჩაიდენენ, ჯგუფურად ?

— ეს უკვე არაადექვატური განცხადებაა.

სს კოდექსში პირდაპირ წერია: კულტივაცია სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება უფრო მძიმედ, ვიდრე თვით მოხმარება.

პოლიტიკოსი იმის მაგივრად ახალგაზრდებისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნას უწყობდეს ხელს და არა კრიმინალს, დანაშაულისკენ უბიძგებს ახალგაზრდებს. მოვუწოდებ საზოგადოებას, გაემიჯნონ ამ სამარცხვინო მოწოდებას. არ წამოვეგოთ „ნაცმოძრაობის“ ნარჩენების მიერ დანაშაულებათა პროვოცირების მცდელობებს.

დღევანდელი კანონმდებლობით, მარიხუანის კულტივაცია, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, დასჯადია. რატომ სურს ზურაბ ჯაფარიძეს ციხეში მოხვდეს მარიხუანის დარგვის გამო? რატომ სურს ახალგაზრდების დაღუპვა? ეს არის კიდევ ერთი აშკარა და მიუტევებელი ზეწოლის მცდელობა სახელმწიფოსა და ქართველ ხალხზე. ქამელეონი „ნაციონალები“ კვლავ აგრძელებენ ქართველი ხალხის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც ერთხელ და საბოლოოდ უნდა აღიკვეთოს ხელისუფლებისა და ხალხის მიერ.

— ბატონო გრიგოლ, საზოგადოების ნაწილი მოხარული არ დარჩენილა ახალი მინისტრთა კაბინეტის შემადგნლობით, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, განათლების მინისტრის შესახებ უამრავი კითხვა დაგროვდა, ბოროტი ენები ნეპოტიზმზეც საუბრობენ, სამართლებრივი სახელმწიფო, დამეთანხმებით, ვერ შედგება, საზოგადოების აზრი თუ არ იქნა გავალისწინებული და ანგარიშგაწეული.

— ახალ პარლამენტს და მთავრობას შეიძლება ითქვას უფრო მეტი აქვს გასაკეთებელი ვიდრე ეს ბოლო წლებში იყო. ძველი დანაპირებებს დაემატა ახალი შეპირებებიც, რაც ორმაგ ტვირთად დააწვება ხელისუფლებას, ეს კი, სავარაუდოდ, საკონსტიტუციო უმრავლესობას მაინდამაინც კომფორტში ვერ ამყოფებს.

როგორც ვხედავთ, მინისტრთა კაბინეტის თემამ საზოგადოებაში, შეიძლება ითქვას, სამართლიანი კრიტიკა გამოიწვია, მინისტრების მიმართ პირდაპირი და კრიტიკული ირმა ინაშვილი იყო, საზოგადოებისათვის დღევანდელი გაჭირვების ფონზე, ეკონომიკის და ფინანსთა მინისტრების შეცვლა, ლარის კურსის ვარდნიდან გამომდინარე, ვფიქრობ, დაგვიანებულია, მაგრამ რას ვიზამთ, ალბათ, ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

რამაზ საყვარელიძე:

უპირველესად, გადასაწყვეტია პოლიტიკური მართვის რომელ სისტემას ვირჩევთ – საპარლამენტოს თუ საპრეზიდენტოს?

გვესაუბრება ანალიტიკოსი, სოციოლოგი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, რამდენიმე დღის წინ პარლამენტმა მთავრობის ახალი შემადგენლობა დაამტკიცა. ამავდროულად, „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს. რა მოლოდინი გაქვთ, თქვენი გადმოსახედიდან, პირველ რიგში, რა უნდა გაკეთდეს?

— მოგახსენებთ. ახლახან, პრემიერმა თქვა, რომ საკონსტიტუციო საკითხებზე მუშაობა იმდენად საჩქარო არ არის, ქვეყანაში სხვა უფრო მნიშვნელოვანი თემებიც არსებობსო. ჩემი გადმოსახედიდან მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა, რასაც პარლამენტმაც, მოსახლეობამაც და ამ საქმეში ჩახედულმა ყველა პირმაც დიდი დრო უნდა დაუთმოს, ეს არის კონსტიტუციის ჩამოყალიბება. საქართველოს კონსტიტუცია თავის დროზე სიჩქარეში, გარკვეული პოლიტიკური ინტერესებით არის დაწერილი. სწორედ ამ ხარვეზების გამო ამბობს დღეს ყველა, რომ კონსტიტუცია შესაცვლელია. ერთი ცუდი კონსტიტუცია მეორე ცუდით რომ არ შეიცვალოს, სასურველია ამ საკითხს დიდი დრო დაეთმოს, ეს საკითხი მშვიდად, წყნარად განიხილონ და საკონსტიტუციო მუშაობის სტრატეგია ისე შეირჩეს, რომ პოლიტიკური პარტიების გავლენისგან მაქსიმალურად დაცული იყოს. ამ ყველაფერს დრო სჭირდება. ამიტომ, მგონია კონსტიტუციაზე მუშაობა ახლაა დასაწყები. ზოგმა თქვა, აი, საკონსტიტუციო უმრავლესობა გვექნება და თბილისში პარლამენტის გადმოტანის, ასევე, პრეზიდენტის არჩევის საკითხს გადავწყვიტავთო. ანუ, ის საკონსტიტუციო თემები გაიხსენეს, რაც წინა მოწვევის პარლამენტში პოლიტიკურ დისკუსიებში იყო. ესეც, ნაჩქარევი პოზიციაა. ჩემი აზრით, უპირველესად, გადასაწყვეტია პოლიტიკური მართვის რომელ სისტემას ვირჩევთ — საპარლამენტოს თუ საპრეზიდენტოს. ჩვენ, ესეც ნაჩქარევად გადავწყვიტეთ და მიშა საკაშვილის ნებით საპარლამენტო მმართველობაზე გადმოვედით, რადგან მას ისეთი პოლიტიკური სისტემის შექმნა ეჩქარებოდა, რომლის მიხედვითაც მომავალში კვლავ პოსტს შეინარჩუნებდა და მისი თანამდებობა ვადებზე არ იქნებოდა დამოკიდებული. ასე აღმოვჩნდით საპარლამენტო რესპუბლიკაში. ამავე დროს საპარლამენტო რესპუბლიკის ლობირებას ახდენდნენ პატარა რეიტინგის მქონე პარტიები. მაგალითად, „რესპუბლიკური პარტია“, რომელიც დამოუკიდებლად ძალაუფლების მოპოვებას ვერასოდეს ახერხებს და თუ ვინმესთან კოალიციაში შევა, მერე კოალიციურ რეჟიმში სურს პორტფელების მოპოვება, რისი მაგალითიც უკვე ვნახეთ. ასე, რომ საპარლამენტო რესუბლიკა გარკვეული ტიპის პარტიებისთვის უდაოდ მიმზიდველია, ანუ, ამ წყობაში პარტიული ინტერესი დევს ისევე როგორც სააკაშვილის დროს იყო. ორივე მაგალითი მიუთითებს, რომ ჩვენ პარტიული ინტერესით შედგენილ კონსტიტუციაში ვცხოვრობთ. ქვეყნის ინტერესიდან თუ ამოვალთ — რა მდგომარეობაშია დღეს საქართველო, რა სჯობს მისთვის, მგონია, რომ ეს პუნქტი გადასახედია რამდენად უნდა ვიყოთ საპარლამენტო რესპუბლიკა. როგორ შეიძლება საპარლამენტო რესპუბლიკა იყოს ქვეყანა, რომელსაც პარტიები არ ჰყავს. მეორეც, რომელსაც ძალიან სუსტი პოლიტიკური ტრადიციები აქვს — მოსახლეობა პარტიებს ვერც აღიქვამს. თუკი საპრეზიდენტო და საპარლამეტო რესპუბლიკა გაიყოფა, მაშინ პარლამენტიც და მთავრობაც დამოუკიდებლად ჩამოყალიბდება და ისინი ერთმანეთთან კონკურენციას და ერთმანეთის კონტროლს განახორციელებენ. ამიტომ, მიმაჩნია, რომ ჩვენი ტიპის ქვეყნისთვის უფრო უპრიანია საპრეზიდენტო რესპუბლიკა. უნდა გადავხედოთ რა ტიპის, რა წყობის ქვეყანა ვართ და ამის მიხედვით გადავწყვიტოთ როგორ ავირჩიოთ, თუნდაც, პრეზიდენტი.

— ბატონო რამაზ, ახალ პარლამენტში უკვე გაიმართა სხდომები. კვლავ კოაბიტაციის სუნი ხომ არ გცემთ?

— არა, პირიქით, მომეჩვენა, რომ დაპირისპირება უფრო გამძაფრებულია და შეიძლება უფრო არსებითიც აღმოჩნდეს, ვიდრე ადრე იყო. არ მგონია, რომ კოაბიტაციამ ამ მოწვევის ეტაპზე დაიმკვიდროს იმიტომ, რომ ბევრი პირობა შეიცვალა. გავიხსენოთ, ადრე კოაბიტაციაზე საუბრისას ივანიშვილმა აღნიშნა, რომ მისგან კოაბიტაციას უცხოელები ითხოვდნენ, დღეისთვის, ასეთი მოთხოვნა აღარ არის. დღევანდელი ხელისუფლება უცხოელებისთვის ისეთ ძალას — პრორუსულს არ წარმოადგენს, რომელსაც გეზი კოაბიტაციით უნდა შეაცვლევინო. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ბევრი დასავლური ნაბიჯი გადადგა საიმისოდ, რათა ეს ეჭვი გაექარწყლებინა. შესაბამისად, დასავლეთის მხრიდან, ამ საკითხზე, მიწოლა არ იქნება. თვითონ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლობამ არაერთხელ გაიმეორა, რომ მათ კოაბიტაციამ, უპირველეს ყოვლისა, ზარალი მოუტანა და მოსახლეობაში მათი რეიტინგი დაბლა დასცა. ასე, რომ მომავალი არჩევნებისთვის სახელისუფლებო პარტიამ ნაციონალებთან წესით ძალიან მკაცრი ხაზის გავლება უნდა სცადოს და იმ მოვლენების მინიმუმამდე დაყვანა, რის გამოც მოსახლეობაში კოაბიტაცია საგინებელი სიტყვა გახდა.

— ლიბერალიზმი მსოფლიო მასშტაბით კარგავს აქტუალობას?

— ლიბერალიზმს დასავლეთიდან ითხოვდნენ, მაგრამ ვისაც ეს საკითხი აწუხებს, სასურველია, მსოფლიო პროცესებს უფრო გულმოდგინედ დააკვირდნენ, იქ ბევრი რამ იცვლება. ტრამპის პრეზიდენტად არჩევა დიდად განაპირობა იმან, რომ ამერიკის მოსახლეობასაც მობეზრდა ლიბერალიზმი და ფაქტობრივად, ტრამპის არჩევა ლიბერალიზმისადმი პროტესტი იყო. ანალოგიურ პროცესებს ევროპის ლიბერალებიც გულის კანკალით ელოდებიან იმიტომ, რომ მათთანაც ძალიან დიდი შანსია არალიბერალურმა, უფრო კონსერვატიულმა პარტიებმა გაიმარჯვონ. კონსერვატიზმზე ნოსტალგია მარტო ქართული სინამდვილე არ არის, ეს მთელს მსოფლიოში ხდება. იმდენად რამდენადაც მსოფლიო კონსერვატიზმისკენ იხრება, სავარაუდოა, რომ საქართველოშიც, კონსერვანტიზმის პრინციპები, უფრო ადვილად გატარდება.

— რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, რამდენად ადეკვატურია, ამ მიმართულებით, ჩვენი მთავრობა?

— სამწუხაროდ, ოკუპირებული ტერიტორიების გამო, საგარეო და საშინაოს ზღვარზე მდგომი პრობლემები გაგვიჩნდა. ნატო, ნატო რომ გვაკერია პირზე, ეს ერთ-ერთი მექანიზმია, რითაც შეიძლება რუსეთზე ზემოქმედება იქონიო.

შეიძლება რუსეთზე ძალა ყველაზე კარგად მოქმედებს, მაგრამ ის ძალა რაც რუსეთზე იმოქმედებს, ჩვენ არ გაგვაჩნია, კიდეც ვიწვნიეთ მარცხი 2008 წელს. ანუ, იქ, სადაც რუსეთთან ურთიერთობის გასაღები ვერ მოუძებნიათ აშშ-ს, საფრანგეთს, გერმანიას, ინგლისს, საყვედური იმაზე საქართველოში რატომ არ მოიძებნა ეს გასაღებიო, სადაც რუსეთს სავჯარისო ფორმირებები უკვე ჩაყენებული ჰყავს და ტერიტორიის 20% მითვისებული აქვს, არაფრის მომცემია. მისთვის პრობლემას საერთოდ არ წარმოვადგენთ, ნებისმიერ დროს შეუძლია სატრანზიტო გზები გადაკეტოს და საერთოდ, დაანგრიოს ქართული ეკონომიკაც და პოლიტიკური სტრუქტურებიც. ასეთ ვითარებაში მყოფ საქართველოს მოთხოვო დიპლომატიური ურთიერთობებით საქმე რატომ არ მოაგვარეო, ეს რეალისტური არაა.

— ბატონო რამაზ, რამდენად არსებობს საფრთხე ტრამპსა და რუსეთს შორის გარკვეული გარიგებებისა საქართველოსთან მიმართებაში?

— რა თქმა უნდა, საფრთხე არის, უფრო ზუსტად, ძნელი წარმოსადგენია საქართველოზე ფიქრით ტრამპი ღამეებს ათენებდეს. ტრამპის წინაშე დგას ალტერნატივა — გააფართოვოს გავლენა ევრაზიის კონტინენტზე თუ ეს გავლენა შეკვეცოს და ამერიკის კონტინენტს დასჯერდეს. სავარაუდოა, რომ ტრამპი ევროპას რუსეთის ამარა არ მიატოვებს. ამერიკა ევროპიდან რომ წავიდეს, ფაქტობრივად, ევრაზიის კონტინენტზე მმართველი რუსეთი ხდება. ამიტომ, ვიმეორებ, ტრამპი ევროპას რუსეთის ამარა არ მიატოვებს.

— დავბრუნდეთ საქართველოში, რაც შეეხება ლარის გაუფასურებას, ამაზე მთავრობას მთლად ჯანსაღი რეაქცია არ აქვს. რამდენად წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს ასეთი მთავრობა, რა უნდა გაკეთდეს?

— საქართველოს ამ მთავრობის ალტერნატივად ნაციონალები ჰყავს, სადაც მთავრი ეკონომიკური ფიგურა კუპონების სპეციალისტი რომან გოცირიძეა. ამ რეალობაში ვცხოვრობთ. ალბათ, უპირველესად, რაც მთავრობამ უნდა გააკეთოს ესაა პროფესიონალების ადეკვატური მობილიზაცია და მათი ცოდნის მაქსიმალური გამოყენება. როგორც ჩანს, მაღალი კვალიფიკაციის ეკონომისტი ძალიან ცოტა გვყავს. მეორეც, უნდა განვითარდეს ეკონომიკა. ხშირად ისმის, რომ ლარის დევალვაცია ხდება იმიტომ, რომ ეკონომიკა არ გვაქვს განვითარებული. ეკონომიკის განვითარება არის სამუშაო ადგილების, ხელფასების გაჩენა. ბევრმა სხვა ქვეყნის ვალუტამ განიცადა დევალვაცია, მაგრამ ამას მწვავე შედეგი არ მოჰყვა, რადგან იქ, უმუშევრობის ასეთი მწვავე ხარისხი არ არის. ასე, რომ ჩვენთან სადარდებელი ისევ ის ძველი პრობლემაა, რაც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოგვსდევს — უმუშევრობა. ლარის დევალვაცია, უმუშევრობის პრობლემასთან შედარებით, მეორეხარისხოვანია იმიტომ, რომ თუ ადამიანს სამუშაო აქვს დევალვაციის პრობლემა ნაკლებად მტკივნეულია. კონცენტრაცია უნდა მოხდეს ამ პრობლემაზე — რატომ ვერ მოვახერხეთ 25 წლის განმავლობაში ეკონომიკის გაძლიერება. მაგრამ ასე საკითხის დაყენება ოპოზიციას არ აწყობს. მათ სჭირდებათ თქვან, რომ აღნიშნულმა პრობლემამ ამ ხელისუფლების პირობებში იჩინა თავი. უმუშევრობის პრობლემაში ყველა ხელისუფლება თანაბრად დამნაშავეა. მოსახლეობამ უფრო მასშტაბურად უნდა მოითხოვოს მთავრობისგან გვაჩვენონ გაწერილი პროგრამა, როგორ ვუშველოთ უმუშევრობას. ეს საკითხი უფრო მწვავე, მტკივნეული და საჩქაროდ გადასაწყვეტია, ვიდრე ლარის დევალვაცია.

თამარ შველიძე
555 23 28 24

პირველი თაობის ვაკელი და „ძველი ბიჭი“ პლეხანოვიდან

„ახალი“ ძველი ოპოზიცია, მართალია, დაგვპირდა, ჩემს გაფუჭებულს მე თავადვე გამოვასწორებო, მაგრამ, ჯერჯერობით, მხოლოდ თავის მართლებისა და ბრალდების პოზიციას იკავებს. შიგადაშიგ, წამოაძახებენ ხოლმე, ახლები გვყავს პარტიაში, გადავხალისდით, გადავლამაზდითო... მაგალითად, ელენე ხოშტარიაო...

ძველი პოზიციაც გავიგეთ, ახალი ოპოზიციაც, ისიც კი გავიგეთ, რატომ და რის გამო უღალატეს დიდ ბელადს პარტიულმა ძმებმა და დებმა, ისიც - რატომ ვერ გათხარა სააკაშვილმა გვირაბი და ვინ შეუშალა ხელი, ისიც - როგორი უძირია სააკაშვილის თვალები, როცა სანდრას უყურებს, და ისიც - რომ სანდრა დამჯერი მეუღლე გამოადგა ჩვენს მიშას, მაგრამ, ელენე ხოშტარია ან რანაირი ძველია, ან რანაირი ახალი?

ვარდების რევოლუციიდან

მოყოლებული, 2012 წლამდე, სააკაშვილის ხელისუფლებას გვერდიდან არ მოშორებია, ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, მერე - თავდაცვის, მერე - ევროპასთან ინტეგრაციის... 2012 წლიდან გადაბარგდა არასამთავრობო ორგანიზაციაში.

ხოშტარიას და ნაცებს რომ მოვუსმინოთ, ახალი სახეებია ნაციონალურ მოძრაობაშიო, ახალი სისხლია და ჩვენს გაფუჭებულ საქმეს, ამ ახალი სისხლით გამოვასწორებთო! კარგად დავიწყებული ძველი რომ ახალია, მაგას გულისხმობთ, მეორე „კრუგზე“ შემოიყვანეთ ხოშტარია და ვერ ვიცნობთ, თუ, როგორ არის ეგ ამბავი?

არა, მე მაინც ახალი ვარო, ელენე ხოშტარიამ... ახალი და ფაქიზიო, ახალი და გაუსვრელიო, ახალი და სუფთაო... ემანდ ნეკზე არ მიკბინო, პატარავ, მეშინია.

მორალი დაუწუნა თეა წულუკიანმა მთავრობის სხდომაზე ხოშტარიას, სანდრო გვირგვლიანის მეგობარი, ვანოს ადვოკატის გვერდით ზიხარ და ალბათ, მანდ არის შენი ადგილიო.

აქა დგას და სხვაგვარად არ ძალუძს...

მართალია, თურმე, ირინა ენუქიძის გვერდით მდგარა საპროტესტო აქციების დროს, სანდრო გვირგვლიანის მკვლელობაში რომ „ნაციონალების“ ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ და ხელისუფლების გადადგომასა და გასამართლებას ითხოვდნენ, იმ აქციებზე, მაგრამ ამაზე საუბარი არ სურს, ამაზე საუბარი ამორალობაა, გვამუნათებს...

მაინც, რაზე საუბარია ამორალობა, მეგობრობაზე საუბარი, მკვლელობაზე საუბარი, მკვლელების გვერდით დგომაზე საუბარი, მოკლული მეგობრის და მკვლელი თანაპარტიელის გვერდით ერთდროულად დგომა-ჯდომაზე საუბარი, იქნებ აგვიხსნათ, იქნებ გაგვანათლოთ?

კარგი, თუ ამაზე სუბარი ამორალობაა, მაშ, სად არის და რა არის ამ ისტორიის მორალი? სად არის მორალი, როცა იმ აქციაზე დგახარ, სადაც ხელისუფლებას მკვლელობებში ადანაშაულებენ და აქციის დასასრულს თბილ კაბინტსა და რბილ სკამს უბრუნდები?

მაინც ვის ატყუებდითო, ახალო და კარგო „ნაციონალო“ ქალბატონო, ენუქიძეს აძლევდით ცრუ დაპირებებს თუ ხელისუფლებას ? სანდროს მკვლელების დასჯა გსურდათ, თუ სანდროს მკვლელებთან ერთად მუშაობა? სანდროს დედაზე ზრუნავდით თუ ვანოს იმიჯზე?

თუ მორალზე უარს ვიტყვით, რა მოხდა, ადამიანებს ტყუილისათვის და თავის მოკატუნებისათვის არ სჯიან, არც სახეში შეყრილი ნაცრის ჩამორეცხვაა რთული...

ღირებულებებზე ტრენინგებს ატარებთ თურმე, თუ ლექციებს...

რომელ ღირებულებებზე: ამორალობის, ტყუილის, ღალატის ღირებულებებზე?

მე პირველი თაობის ვაკელი ვარო, განაცხადა ხოშტარიამ...

ჰოდა, პირველი თაობის ვაკელმა გვითხრა: არ მომწონდაო, შეკრებებზე მოსული ადამიანები რომ წამომაძახებდნენ ხოლმე: ბავშვების მჭამელებო და ცოცხებით ცოცრების შემცვლელებოო... არ მომწონდა და მივდიოდი და ვეხუტებოდიო, ვეხუტებოდი და იმ წამსვე ვუყვარდებოდი იმ ამომრჩეველსო... მელას თავის მახრჩობელა უყვარდაო, ქალბატონო ელენე? და სად წავიდნენ ის ჩახუტებული და თქვენზე გადარეულ-შეყვარებული ვაკელები? ვერ დაითვალეთ, თუ დაგთვალეს და არ მოეწონეთ?

ეჰ, ქალბატონო ელენე, ხან ჭრით, ხან კერავთ...

ხმები გამოვიდა, რომ საკაშვილს თქვენც განდგომიხართ. ის იყო, იმაზე ვფიქრობდით, გაგვხარებოდა თუ გვწყენოდა, რომ ისევ გაურკვეველი პასუხ-განმარტება შემოგვითვალეთ - პარტიის ლიდერთან კამათი ნორმალურიაო...

ანუ, იკამათეთ? და როგორ დამთავრდა ეგ კამათი, ვისი გამარჯვებით?

რაო, სააკაშვილმა, მაინც, რაზე გეკამათათ, მაინც, რა არ მოგიწონათ? რა დაგიწუნათ პირველი თაობის ვაკელს, არ დაგვიმალოთ.

ან, თქვენ რა დაუწუნეთ პარტიის ლიდერსა და ფრიად პატივსაცემ პოლიტიკოსს?

ნუ, ახლა, თუ იმ ტყუილში ედავებით, ჩამოსვლას რომ აპირებდა და გვირაბს რომ თხრიდა, დაგამშვიდებთ და გეტყვით, რომ მიშასთვის ტყუილი არც უცხო ხილია და არც უცხო ქალი. მიშას ტყუილებზე უკვე ხალხური ლექსები და ანეგდოტებიც კი ითხზვება:

გარდაცვლილი ქართველი ხედავს განსაწმენდელის ერთ კუთხეში ბევრი საათია თავმოყრილი და დაინტერესდება, რა არის და რისთვის გჭირდებათო.

მთავარანგელოზი აუხსნის: ეს ტყუილის საათებია, ყველა ადამიანს საკუთარი საათი აქვს და როცა იტყუება ისარი ერთი საფეხურით გადაიწევსო.

ე, აბა მიშას საათი მაჩვენეთო, სთხოვს ქართველი.

ეგ კაბინეტში გვიდგას „ვენტილიატორის“ მაგივრადო, უპასუხებენ.

ჰოდა, პატარა და ახალო „ვენტილიატორებო“, მამა-მარჩენლის ტყული როგორ გაგკვირვებიათ და გულთან როგორ ახლოს მიგიტანიათ, ჰა?

ისე, მაინტერესებს, წაქცეულ მიშას რომ მარჯვენა ფეხს აბიჯებთ, (არ მწყინს, მარცხენაც დაადგით, მართალია, სუფთა არც თქვენი ტერფებია, მაგრამ მაინც) ეგ მორალია და თეა წულუკიანმა რომ სანდრო გვირგვლიანთან მეგობრობა შეგახსენათ, ამორალობა?

და ზღვარი სად გადის ნეტავი, ზღვარი...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

ძლიერი რეგიონები

საჩხერე

საჩხერე – პერევიდან ჭალის მიმართულებით გზის მოასფალტება დაიწყო

სოფელ პერევიდან ჭალის მიმართულებით გზის რეაბილიტაციის პროცესი დაიწყო. გზის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელი მალხაზ ბაზაძე გამგეობის სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად გაეცნო.

პროექტი მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან ფინანსდება. 1,6 კილომეტრი გზის მოასფალტებისთვის 499 978 ლარია გამოყოფილი.

თელავში ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გზა მოასფალტდა

თელავის მერია განაგრძობს ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. ამჯერად ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიგო 1000 კვ.მ ფართობზე 165 მეტრი სიგრძის ასფალტი, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 25 000 ლარი დაიხარჯა.

სამუშაოები თელავის ვიცე-მერმა თენგიზ მთვარელიშვილმა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი კიკნაძემ დაათვალიერეს.

თენგიზ მთვარელიშვილის განცხადებით, ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე მთელი დღის განმავლობაში გადატვირთულ მოძრაობას დაზიანებული გზის საფარი კიდევ უფრო აფერხებდა ტრანსპორტის გადაადგილებას. აღნიშნული გზის მონაკვეთის მოწესრიგება ხელს შეუწყობს ამ პრობლემის მოგვარებას.

მესტია – ლენჯერში ნაპირდამცავი გაბიონების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ტერიტორიული ერთეულის სოფ. ქულერში, მდინარე მესტიაჭალაზე, ნაპირდამცავი გაბიონების მშენებლობა მიმდინარეობს.

პროექტი ხორციელდება სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში. შეგახსენებთ, რომ ივლისში აღნიშნულ მონაკვეთზე უხვი ნალექისა და გადაუღებელი წვიმების გამო მიწის დიდი მასა ჩამოიშალა.

პროექტის სახელშეკრულებო ღირებულებაა 57 480 ლარი, მოეწყობა 465 მ³ მოცულობის გაბიონები.

ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოები უნდა დასრულდეს 2016 წლის 10 დეკემბრამდე.

უფასო ჰუმანიტარული აქცია დედოფლისწყაროში

მუნიციპალიტეტის გამგეობისა და შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრის „დედოფლისწყაროს“ მხარდაჭერით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მრავალპროფილიან, უახლესი სამედიცინო აპარატურით აღჭურვილ საავადმყოფოში უფასო ჰუმანიტარული აქცია ჩატარდა. გ. ჩაფიძისა და კლინიკა „მედულას“ ექიმებმა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გამოიკვლიეს და შესაბამისი დანიშნულებები მისცეს.

აქციაზე იმყოფებოდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი. მოსახლეობამ კმაყოფილება გამოთქვა, რომ მათ კვალიფიციურ ექიმებთან კონსულტაციის საშუალება მიეცათ.

მარტვილის კანიონის მიმდებარედ ავტოსადგომი შენდება

მარტვილის მუნიციპალიტეტში, მდინარე აბაშის კანიონის მიმდებარე ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამასი ავტოსადგომი შენდება. ავტოსადგომის ტერიტორია გათვლილია 150 მსუბუქ ავტომობილზე და 50 ავტობუსზე. პროექტის ფარგლებში ასევე მოეწყობა ღია პავილიონები, მოსაცდელი ბლოკი, სუვენირების ფარდულები, გარე განათებები, სველი წერტილები და სხვა.

პროექტის ღირებულებაა 339 777 ლარი; სამუშაოს ასრულებს სს „არქეოპოლისი“; სამუშაოზე დასაქმებულია 60 ადამიანი და 20 ერთეული ტექნიკა; სამუშაო შესრულებულია 60 პროცენტით. დაფინანსების წყარო – საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 95, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 5 პროცენტი.

ახმეტა – ჩინეთის ბაზარზე 5 მილიონი ბოთლი ქართული ღვინო გაიგზავნება

ქართული ღვინის ისტორიაში პირველად, ჩინეთის ბაზარზე 5 მილიონი ბოთლი ღვინის რეალიზაცია განხორციელდება, – შესაბამისი მემორანდუმი კომპანია „ბადაგონსა“ და ჩინურ კორპორაცია Wenzhou Bydoway Import & Export Co-ს შორის სოფელ ხოდაშენში, „ბადაგონის“ ღვინის ქარხანაში გაფორმდა. ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილთან ერთად დაესწრო.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, მთავარი, რაც კომპანიას გამოარჩევს, არის ის, რომ „ბადაგონში“ საუკეთესოდ არის შერწყმული ქართული მეღვინეობის, ქართული ღვინის წარმოების საუკეთესო ტრადიციები და თანამედროვე ტექნოლოგიები.

„სწორედ ამ სინერგიის ხარჯზეა შესაძლებელი ქართული ღვინის წარმატება და იმ ნიშაში დამკვიდრება, რომელიც ჩვენს ღვინოს ნამდვილად ეკუთვნის. ქართული ღვინო არ არის მხოლოდ ფართო მოხმარების პროდუქტი. საქართველო მეღვინეობის აკვანია, ქართული ქვევრი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშია“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და მსოფლიო ბაზრებზე ქართული ღვინის თავიდან დამკვიდრების საშვილიშვილო საქმეში ისტორიული როლის შესრულებისთვის მეუფე დავით ალავერდელს და კომპანია „ბადაგონის“ წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, მთლიანობაში, ქართული ღვინის ექსპორტი, გასული წლის განმავლობაში, 28 პროცენტით გაიზარდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

„ეს მემორანდუმი ხელმოწერისთანავე ამოქმედდება, რაც ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობას ჩინურ ბაზარზე რამდენჯერმე აამაღლებს. წელს დაგეგმილი გვქონდა 3-3,5 მილიონი ბოთლი ღვინის ექსპორტი ჩინეთის ბაზარზე და დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ნოემბრის მონაცემებით, ექსპორტმა 4 მილიონ 800 ათას ბოთლს გადააჭარბა, ანუ, წლის ბოლოსთვის, ექსპორტი 5 მილიონზე მეტი იქნება“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ მომავალ წელს, ამ მიმართულებით, კიდევ უფრო პოზიტიურ დინამიკას უნდა ველოდოთ.

პრემიერის თქმით, მეღვინეობის ხელშეწყობა მთავრობის პრიორიტეტია – 2012 წლიდან დაიწყო მეღვინეობის წახალისების კომპლექსური პროგრამა, რთველის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა, სუბსიდირებისა და აგროსესხების პროგრამა.

„თუ საქართველო გადარჩა, ეს იყო ჩვენი კულტურით და იმით, როგორ დაჰფოფინებდა ქართველი კაცი თავის ვენახს. ვენახი საქართველოსთვის არ იყო მხოლოდ ერთ-ერთი ინდუსტრია, ეს იყო საქართველოს არსი, მისი კულტურის, ეროვნული თვითმყოფადობისა და იმ უდიდესი მემკვიდრეობის გამოხატულება, რომელსაც სხვანაირი მოვლა-პატრონობა სჭირდება. სწორედ ეს არის ჩვენი მიზანიც, როდესაც ყურძნის სუბსიდირებას ვახდენთ. დღეს აქცენტი გადატანილი გვაქვს ხარისხის კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე და ეს პროცესი, მომავალში კიდევ გაგრძელდება“, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

დედოფლისწყარო

ხობი – სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პროგრამა

ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2016 წლის მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველ 21 ოჯახს (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათასს და რომელთა სახლები ავარიულ მდგომარეობაშია) სახლების შესაკეთებლად 37 500 ლარის დახმარება გაეწიათ.

„სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისია“ მოქალაქეების წერილობითი მომართვის საფუძველზე ადგილზე ეცნობა მათ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და კომისიის სხდომაზე, საკითხის დეტალური შესწავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას.

წალენჯიხის კულტურის სახლის სრული რეაბილიტაცია

კულტურის სახლის ავარიულ შენობაში მთლიანად იცვლება შიდა და გარე ინტერიერი, სცენა, დარბაზი, საგრიმიოროები და სარეპეტიციო ოთახები. მონტაჟდება განათების, კონდიცირებისა და გათბობის თანამედროვე სისტემები.

მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორმა ლევან შონიამ, რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსმა დათო კოდუამ, წალენჯიხის გამგებელმა ბესიკ ფარცვანიამ, მოადგილემ გიორგი ლუკავამ და საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ დაათვალიერეს.

ყოფილი კინოთეატრის შენობის რეაბილიტაციას ადგილობრივი მოსახლეობა წლების

ძლიერი საქართველოსთვის

ქალენჯიხა

განმავლობაში ელოდა. რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ ეს იქნება თანამედროვე სტანდარტების კულტურის სახლი, სრულად აღდგენილი ინფრასტრუქტურით. წალენჯიხას ამ შენობის სახით ახალი და ძალიან ლამაზი შენობა შეემატება.

სამუშაოებზე 20-მდე ადგილობრივი მოსახლეა დასაქმებული. კულტურის სახლის სრული რეაბილიტაცია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება და მასზე 680 ათასი ლარი დაიხარჯება. პროექტი გარდამავალია და ახალი კულტურის სახლი წალენჯიხას მომავალ წელს ექნება.

ადიგენში ინფრასტრუქტურული პროექტები აქტიურად მიმდინარეობს

ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარეხაში მდებარე საცხოვრებელ კორპუსს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. პროექტის შესასრულებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან 30 232 ლარი გამოიყო.

აქტიურად მიმდინარეობს დაბა აბასთუმანში ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია. სრულად განახლდა შენობის სახურავი და საყრდენი ძელები.

ადიგენში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობას გაეცნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაქარია ენდელაძე და საკრებულოს თავმჯდომარე იმედა მღებრიშვილი.

ახალციხე – მუსხის სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია

სოფელ მუსხში სასმელი წყლის შიდა ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა მთავარი გამანაწილებელი, საიდანაც სასმელი წყალი თითოეულ უბანს ცალ-ცალკე ხაზით მიეწოდება.

სამუშაოებზე 12 ადამიანია დასაქმებული. პროექტი, რომელიც სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ფინანსდება, 26 დეკემბრამდე დასრულდება.

ბორჯომი – წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია

ბორჯომში, ზეინკლიშვილის ქუჩაზე აქტიურად მიმდინარეობს წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაცია.

პროექტის მიხედვით, 240 მეტრზე მოეწყობა გოფრირებული მილები და 8 საკანალიზაციო ჭა.

სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 27 089 ლარი გაიხარჯება.

სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო

სოფელ ურაველში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 932 768 ლარით ფინანსდება.

ამ ეტაპზე გზაზე ასფალტბეტონის საფარი და სანიაღვრე არხები ეწყობა. პროექტის ფარგლებში ასფალტის საფარი 3030 მეტრზე დაიგება.

სოფელ ურაველში სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს მხარის გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა მელიქიძე გაეცნენ.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა სოფელ წყრუთში, ივლიტაში, სვირი-ბოგა-ტატანისში, წყალთბილა-ნაოხრებში, ზემო სხვილისში, მუსხში, ანდრიაწმინდაში, აგარა-წინუბანში, ქალაქ ვალეში (ვაჟა-ფშაველას და ფარნავაზ მეფის ქუჩები).

ამჟამად, გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს წყალთბილა-ნაოხრებში (II ეტაპი), აგარა-საყუნეთში და სხვილისში.

2016 წელს, ახალციხის მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზებზე 20 კილომეტრამდე ასფალტისა და ბეტონის საფარი დაიგო.

დმანისი – შეხვედრა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოგი ბარბაქაძემ გამგეობის საკონფერენციო დარბაზში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ახალგაზრდებს უმასპინძლა.

შეხვედრის მიმდინარეობისას ახალგაზრდებმა მუნიციპალიტეტის გამგებელს გააცნეს თავიანთი მოსაზრებები დმანისის განვითარების შესახებ. მხარეებმა დიალოგის რეჟიმში განიხილეს ეთნიკური უმცირესობების კიდევ უფრო მეტი ინტეგრაციის მიზნით განსახორციელებელი პროექტები და სამომავლოდ განსახილველ თემებზეც იმსჯელეს.

სამუშაო შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაცია „აზერბაიჯანელ ქალთა კავშირის“ ინიციატივით გაიმართა, რომლის წევრებმა წარმოადგინეს პროექტი სახელწოდებით „აქტიური მოქალაქე დემოკრატიის გარანტია“. პროექტი მიზნად ისახავს ეთნიკურად აზერბაიჯანელი ამომრჩევლის გააქტიურებას, საარჩევნო კულტურის ამაღლებას, სრულფასოვან ინტეგრაციას ქვეყნის საარჩევნო პროცესში და ჩართვას ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში.

ბორჯომი

ციტრუსის მიღება დაიწყო

არასტანდარტული ციტრუსის მიმღებ-გადამმუშავებელი საწარმოები მზად არიან ციტრუსის მისაღებად. ყოველ კილოგრამ არასტანდარტულ მანდარინზე 10 თეთრის სუბსიდირებაა გათვალისწინებული. არასტანდარტულ მანდარინის იბარებენ TCF Georgia და Georgian Industrial Asset Management Group.

შუახევი

არასტანდარტული ციტრუსის მიღებასა და სუბსიდირებას უზრუნველყოფს აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შექმნილი ციტრუსის შტაბი, რომლის შემადგენლობაში შედის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, და ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის წარმომადგენლები. იმუშავებს ცხელი ხაზიც 1501, 591 10 66 07 სადაც ნებისმიერ მსურველს საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა ექნება.

შუახევი – სოფელ ჭვანაში საბავშვო ბაღი გაიხსნა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე შუახევში, სოფელ ჭვანაში, ახლად რეაბილიტირებული ბაღის გახსნას დაესწრო და ადგილობრივებს აჭარის მაღალმთიანეთში კიდევ ერთი ახალი ბაღის ექსპლუატაციაში შესვლა მიულოცა.

ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია ინფრასტრუქტურული ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა. გამგეობის გადაწყვეტილებით გარემონტდა ნაგებობის მეორე სართული, სადაც განთავსდა საძინებლები, გასართობი ოთახები, სველი წერტილები, სამზარეულო და ადმინისტრაცია, კეთილმოეწყო ეზო. დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის თანამედროვე სისტემა. შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. 30 აღსაზრდელზე გათვლილ სააღმზრდელო დაწესებულებაში განლაგდა საჭირო ინვენტარი, ტექნიკა და საბავშვო ლიტერატურა. სამუშაოებზე 117 000 ლარი დაიხარჯა.

საბავშვო ბაღში დასაქმებულია 10 ადგილობრივი. შუახევის მუნიციპალიტეტში 2016 წელს ბაგა-ბაღების რეაბილიტაციაზე 300 000 ლარზე მეტი დაიხარჯა. სულ აჭარაში 2016 წელს 21 ბაღი აშენდა, 9 ობიექტის მშენებლობა მიმდინარეობს, 13 კი რეაბილიტირებულია.

ხულოში სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება მიმდინარეობს

2016 წელს, „პრიორიტეტული ღონისძიებების“ ფარგლებში ხულოს მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის სისტემის მოსაწესრიგებლად პროექტები განხორციელდა შემდეგ სოფლებში: ჭერი, ოქრუაშვილები, საციხური, ვაშლოვანი, ვერნები, ბეშუმი, ღორჯომი.

მიმდინარეობს ბაბანური-ხულოს წყალსადენის წყლის გამწმენდი შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

განკითხვის ჟამი

დაახლოებით ექვსი თვის წინ სოცქსელით გავრცელდა შემდეგი შინაარსის პეტიცია- „ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, მიუხედავად ჩვენი ეთნიკური, სოციალური თუ პოლიტიკური წარმომავლობისა, ვითხოვთ საქართველოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, როგორც სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის მადესტაბილიზებელი ორგანიზაციის აკრძალვას“. აღნიშნული პეტიციის ადრესატი - საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა და პროკურატურა გახლდათ. ხელისმომწერნი კი სოციალური ქსელის ათასობით მომხმარებელი. ნაცმოძრაობის აკრძალვას, მანამდე სხვა პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც მოითხოვდნენ, მაგრამ...დღეს დამნაშავეთა ორგანიზაციის პარლამენტში მოკალათებული წევრები თითის ქნევით, მორალზე, ღირებულებებზე, სამართლიანობაზე და სხვა თემებზე ურცხვად აპელირებენ ნახევარ მილიონიანი „ამომრჩევლის“ სახელით, (ახია შენზე კუ-

კარაჩა) ასევე ხშირად იმეორებენ, რომ არჩევნები გაყალბდა, რაშიც ვეთანხმები ოპონენტებს, რადგან ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ ნაცტურების, მკვლელების, მძარცველების, მოძალადეების, გარყვნილების ხროვას ამდენი მხარდამჭერი ყავს საქართველოში.

ამასობაში კოსმოსში მიფრინავს ლარი, ჩუმ-ჩუმად ძვირდებოდა და კიდევ გაძვირდება პური, ენერგო რესურსები და საერთოდ ყველაფერი ცხოვრებასთან ერთად... დიპლომიანი პროფესიონალებისთვის მიუწდომელია სამსახური რადგან „იმ სოფელში“ნაცნობი არ ყავთ, სამაგიეროდ დასაქმებულები არიან ერთმანეთის ნათესავები, მეგობრები უდიპლომოდ ან ნაყიდი დიპლომებით, რომლის აღიარებასაც „ჩერეზ სასამართლოთი ჩალიჩობენ“ გახნილია „ცოლების კლუბი“, სადაც სხვადასხვა უწყების მაღალჩინოსნების მეუღლეები მაღალანაზღაურებად თანამდებობებზე არიან მოკალათებულები, რათქმაუნდა შესაბამისი განათლების გარეშე. რაც ყველაზე საინტერესოა ისე აქვთ გაბერილი შტატები თვით, კადრების სამმართველოსაც ეშინია „მარცხის“. დეპარტამენტი, მთავარი სამმართველო, სამმართველო, განყოფილება თავის მოადგილეებით. იქ, სადაც განყოფილებაც საკმარისია. (აღნიშნული ინფორმაცია, ერთ-ერთი ძალოვანი უწყებიდან მაქვს, წყარო სარწმუნოა თუ სიტუაცია არ გამოსწორდება აუცილებლად ვამხელ, დოკუმენტურად) სანამ პროკურატურის გენერალური წშენდა არ დაიწყება სამართლიანობის აღდგენაზე ოცნებაც ზედმეტია, იძულებით იძიებენ მხოლოდ სტრასბურგ „მოვლილ“ საქმეებს. არც სასამართლოშია უკეთესი მდგომარეობა და არც შსს-ში. არ აღდგება სამართლიანობა? არ იქნება მშვიდობა! რომელიც ვფიქრობ ხელს აღარც ხელისუფლებას აძლევს. მოსახლეობას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს ეშინიათ მომავლის, რადგან მდგომარეობა უფრო და უფრო მძიმდება. გამოსავალი კი არ ჩანს. ამიტომაცაა ამდენი თვითმკვლელობა, მართალია წარუმატებლობის შემთხვევაში 500 ლარიანი ჯარიმის გადახდა მოუწევს თვითმკვლელს, მაგრამ სხვა ვერაფერი მოიფიქრა ხელისუფლებამ პრევენციისთვის და რა ქნას? ის რომ ხალხი მძიმე ეკონომიური პირობების გამო შოკშია, ფსიქოზი აქვთ და უამრავი დანაშაულიც ამიტომ ხდება არ უნდათ დაიჯერონ, არც ის ჯერავთ რომ კონსტიტუციის წყარო ხალხია და არა საკუთარი კეთილდღეობა. ოცი წლის წინ ვერავინ დაიჯერებდა იმას, რომ საქართველოში გამზრდელს მეგობრებთან ერთად მოკლავდნენ და მერე ორგანოებს შეჭამდნენ. მშობლების უმიზეზოდ დახოცვა, შვილის, ოჯახის წევრების და სხვა სისასტიკე რაც ქვეყანაში მომრავლდა რის ნიშანია ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი გთავაზობთ საერთაშორისო საზოგადოებრივი მოძრაობა „იბერია“-ს თავმჯდომარის – ვლადიმერ ხმელიძის რამოდენიმე დღის წინ გავრცელებულ მიმართვას, ვფიქრობ, ფაქტები რომელიც აღნიშნულ მიმართვაშია მოყვანილი, ბევრ ჩვენთვის საჭირბოროტო კითხვას ცემს პასუხს.

„იბერებო-კოლხებო და სრულიადგილ ქართველებო. საფრანგეთიდან ვუყურებ იმ მდგომარეობას, რაც საქართველოშია და არ შემიძლია ჩემი აღშფოთება არ გაგიზიაროთ. ის რაც ნამდვილად ხდება საქართველოში შეუძლებელია ჩაიდინო საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. მძიმე სოციალური პრობლემებისა და უმუშევრობის ფონზე ადამიანებს არ გააჩნიათ საკუთარი შესაძლებლობის რეალიზების საშუალება და იძულებულნი არიან სარჩო უცხოეთში ეძებონ, ხოლო ვინც ქვეყანას ვერ ტოვებს, არსებობისათვის უწევთ ბრძოლა იმ პირობებში, რასაც მათ ის ხელისუფლება სთავაზობს, რომელმაც მეოთხედი საუკუნის წინ ამ ხალხს ძალაუფლება წაართვა. ქართველი ერის წინააღმდეგ მოქმედებს ძლიერი სოციალური მანქანა, რომელსაც ბევრი ბერკეტი აქვს, მაგრამ აუცილებლად უნდა გამოვყო მათ შორის ყველაზე ეფექტური და ძლიერი ზემოქმედების საშუალება, როგორიცაა საბანკო სისტემა, რომელიც სრულიად აკონტროლებს საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალს და იმის მაგივრად რომ მათ უზრუნველყონ ეკონომიკის განვითარება და ბიზნესის ინვესტირება, ისინი მიზანმიმართულად ცდილობენ ჯიბეში ჩაუძვრნენ საქართველოს მოქალაქეებს და მიითვისონ არა მარტო ის, რაც ფულის სახით მოეპოვებათ, არამედ მთელი ქონება, რომელიც საკუთრებაში გააჩნიათ მათ. სამწუხაროდ, დღეს ბანკებს უკვე ყავთ სპეციალური თანამშრომლები მიმაგრებული ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, სოფლებში და უბნებში, ეს თანამშრომლები არიან იმ სოფლიდან და უბნიდან სადაც უწევთ ბანკების სასარგებლო საქმიანობა და მათი უშუალო მოვალეობაა რომ ბანკებისთვის მომგებიანი პირობებით სესხები შესთავაზონ მოსახლეობას და მერე თვითონვე გააკონტროლონ მოქალაქეების მიერ მათი გადახდა და ნებისმიერ ფასად ამოიღონ ბანკის მიერ გაცემული სახსრები. არ მინდა წარმოვიდგინო, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება მოსახლეობა 5-6 თვის შემდეგ, იმიტომ რომ შემოსავალი არ აქვთ იმდენი, რომ რეგულალურად დაფარონ ბანკის მოგებაზე გათვლილი სესხი და იწყება შუამავალსა და მსესხებელს შორის დაპირისპირება, რომელიც საბოლოოდ ბანკისა და მევახშის სასარგებლოდ მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაყადაღებით და საბოლოოდ კონფისკაციით შეიძლება დამთავრდეს.

ეს არის მიზანმიმართული პროგრამა, რათა ჩვენს სამშობლოში და ქართველ ერში მოსპონ და გაანადგურონ ტრადიციები, რწმენა, დამოუკიდებლობა, სიამაყე, სამშობლოსთვის თავდადება, ოჯახის სიმტკიცე და მასზე ზრუნვის საშუალება. საქართველოს მოსახლეობის 80% დღეს არის ბანკებზე დამოკიდებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ე.წ. „უკანონო ხელისუფლებას“ ბრძოლა აქვს გამოცხადებული საკუთარი ხალხის წინააღმდეგ რომლებიც ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებაზე არიან დამოკიდებული.

საქართველოს მოსახლეობის 40%-ზე მეტს, რომლებიც დროებით უცხოეთში ცხოვრობენ დაგირავებული ან იპოთეკაში აქვთ ჩადებული უძრავ-მოძრავი ქონება, რომლის აბსოლუტური უმრავლესობა ბანკების განკარგულებაშია, მათ შორის ადგილ მამულები, საცხოვრებელი სახლები და ბინები, მანქანები და ყველა სახის ქონება. აქედან გამომდინარე გამოდის, რომ ეს ხალხი დატოვეს საქართველოში ყველგვარი ქონების გარეშე. ასეთსავე დღეშია საქართველოში მაცხოვრებელი მოსახლეობაც. შედეგიც სახეზეა უმუშევარი და უქონელი ქართველები დღეს სესხების საშუალებით არსებობენ, მაგრამ მათი ვალდებულებები იზრდება.

ასევე აღსანიშნავია ის, რომ ხელისუფლებაში მყოფი მოხელეები, პოლიტიკოსები, პოლიტიკური პარტიის წევრები და ლიდერები და, თუ გინდათ, საზღვარგარეთ მყოფი პოლიტიკური ლიდერების და დიპლომატების ანგარიშები ნახეთ და დარწმუნდებით, რომ ნებისმიერ მათგანს აქვს დიდი სესხი ბანკებიდან რომლის გადახდა ძალიან უჭირთ. ეს ყველაფერი მიზანმიმართულად კეთდება, რათა ყველანი ყავდეთ დაჩოქილი, იმ სოციალური მანქანის წინაშე, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ.... ჩვენ გვინდა, რომ ხელისუფლებამ საქართველოს და ქართველი ერის ინტერესებზე და მის განვითარებაზე იზრუნოს საქმით და არა ფუჭი ოცნებებით, ამიტომაც მოვუწოდებ მოსახლეობას ყურადღებით და ფრთხილად იყავით.“ ფრთხილად ყოფნა ვერაფერი ნუგეშია ხალხისათვის, მე უკეთესი გაფრთხილება მაქვს კოჰაბიტირებული ხელისუფალთათვის, საუკუნეების წინანდელი გზავნილი წინასწარმეტყველებისგან რომლებიც არ ცდებოდნენ-“სიხარბეს დაუბნელებია კაცთა მზერა და სიცრუეს დაუფარავს დედამიწა. შვილები პატივს არ მიაგებენ მშობლებს და მშობლები უგულებელჰყოფენ შვილებს. მაშინ შეიძულებენ ერთურთს, ძმა აღსდგება ძმის წინააღმდეგ, დედა ამრუშებს თავის ქალიშვილს და შვილებიც მშობელთა წინაშე რიდსა და კდემას დაჰკარგავენ. მოდგმა არ დაინდობს მოდგმას. მამა შემართავს იარაღს საკუთარი ძის წინააღმდეგ და შვილიც მამის წინააღმდეგ დააძრობს მახვილს და ძმა, ძმას აძგერებს შუბს და მოყვასი მოყვასს გაუყრის ისარს და იქნება ისე, რომ მონა გაიცინებს თავისუფალზე და მკვდრის შეშურდება ცოცხალს. ვაი თქვენ წყეულო და უსჯულო კაცთა მოდგმავ, რადგან გასწავლიდით და არ შეისმინეთ, მოგიწოდებდით და არ შეიგნეთ, არამედ დაყრუვდით ვითარც ასპიდნი და ყურნი დაიხშვეთ რომ არ გესმინათ. ამიტომ ავღმართავ ჩემს რისხვას თქვენს წინააღმდეგ და თქვენს შეწყალებას არ ვისურვებ და თქვენ გოდებასაც არ შევისმენ. არ იქნება თქვენში შვება და სიხარული, გაპარტახდებიან თქვენი ქალაქები და არავინ იქნება თქვენს ეკლესიებში მომსვლელი, არც ღარიბი კარებთან რომ დაჯდეს და მოწყალება ითხოვოს. გაუდაბურდება თქვენი ეზო და თქვენს ნამოსახლარს ქარი წაიღებს. გაშავდება თქვენი ხორცი და ლოთებივით იბარბაცებთ. მიწაზე დაიყრება ოქრო-ვერცხლი და არავინ იქნება მათი ამკრეფი. მაშინ იქნება ავხორცობა ისეთი, რომ თითოეული თავისი მოყვასის ჭამას დაიწყებს. მშობლები შეჭამენ თავიანთ შვილებს და შვილები მშობლებს, რადგან ყოველგვარი უსჯულოებით აივსება ქვეყანა და ყოველგვარი უწესივრობა წალეკავს მოსახლეობას. ადამიანებმა უსამართლობა სამართალზე მეტად შეიყვარეს, დაუტევეს ნათელი და ბნელს შეუდგნენ, მთელს თავის ცხოვრებას კი სიძვა-მრუშობაში ატარებენ. იქაც კი შეგეშინდებათ სადაც არ არის შიში და მტრისგან ერთი ას თქვენთაგანს, ხოლო ასი მათგანი თქვენს ათასებს დაიმონებს, რადგან შიშსა და ძრწოლას ჩაგინერგავთ გულში...ქვეყნის სხვადასხვა კიდეებში დაიფანტებიან თქვენი ცოლები და ასულები თქვენს ქვრივებსა და შვილებს კი წარმართთა ქვეყნებში შებილწავენ. შვილნი თქვენნი მოემსახურებიან წარმართთ და ვაი თქვენ იმ დროს, რადგან ძლიერნი თქვენთაგან მოწყდებიან მტრის მახვილისაგან და მაშინაც კი გაიქცევით, როცა არავინ მოგდევთ“.

წინასწარმეტყველებაო, კი ვთქვათ, მაგრამ ეს უკვე არ არის წინასწარმეტყველება - ვისაც აზროვნების უნარი შერჩენია, ადვილად მიხვდება, რომ ჩვენ უკვე ვცხოვრობთ იმ დროში... ეს განკითხვისა და განაჩენის აღსრულების ჟამია...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

საქართველო „ვეშაპის“ პირისპირ

წარუმატებელი შეიარაღებული ამბოხის შემდეგ ერდოღანმა პირველი უცხოური ვიზიტი რუსეთში განახორციელა. დიახ, არა ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში, არა აშშ-ში, არამედ რუსეთში. აგვისტოს დასაწყისში იგი თავად ეწვია რუსეთს. იქაურ ლიდერს, პუტინს, „მეგობარ ვლადიმერს“ უწოდებდა. ამით ერდოღანმა კიდევ ერთხელ დაანახა მსოფლიო საზოგადოებას, რომ დამოუკიდებელი „მოთამაშეა“ რეგიონში, მიუხედავად იმისა, რომ ნატო-ს წევრი ქვეყნის პრეზიდენტია. მართალია, ერდოღანი რუსეთიდან, ფაქტობრივად, ხელცარიელი, არაფრით დაბრუნდა, მაგრამ კმაყოფილებას ვერ მალავდა — დასახულ მიზანს მიაღწია და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას დაუდო საფუძველი. ამით კიდევ უფრო გააღიზიანა დასავლეთი.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აშშ-ი შემოდგომაზე წინასაარჩევნო კამპანიით იყო დაკავებული და საგარეო პოლიტიკას შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობდა. თუმცა უკმაყოფილებას არ მალავდა ერდოღანის მკვეთრი გამონათქვამების და მათ მიმართ კრიტიკის გამო.

დასავლეთი, განსაკუთრებით ევროკავშირი, საგონებელში ჩააგდო თურქეთში არშედგარი ამბოხის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა — ათობით ათასი ადამიანი დაპატიმრებულია, ნახევარ მილიონზე მეტი სამსახურებიდან დაითხოვეს, დაიხურა სასწავლო დაწესებულებები, დამოუკიდებელი გამომცემლობები და ტელევიზიები. ევროპელი პოლიტოლოგები და ჟურნალისტები აცხადებენ, რომ თურქეთი დიქტატურის გზას დაადგა. განსაკუთრებული შეშფოთება ერდოღანის იმ განცხადებამ გამოიწვია, რომელიც ამბოხის შემდეგ გააკეთა და ქვეყანაში სიკვდილით დასჯის აღდგენის ინიციატივით გამოვიდა.

ევროკავშირმა ახლახან უკვე პირდაპირ განუცხადა თურქულ მხარეს, რომ არც ევროკავშირში მიიღებენ და არც უვიზო რეჟიმს მისცემენ. თუმცა ევროჩინოსნები იმედოვნებენ, რომ თურქეთი შეაჩერებს ევროპისკენ მიმავალ დევნილთა ლაშქარს. ვნახოთ, რამდენად გამართლდება ევროპელების ოპტიმიზმი, მაგრამ არც ამ ორგანიზაციაში რომ არ არის ყველაფერი რიგზე, ესეც აშკარად ჩანს. ჯერ დიდმა ბრიტანეთმა დატოვა ევროკავშირი, ახლა კიდევ რამდენიმე ქვეყანაში გაიმართება რეფერენდუმი ევროკავშირში დარჩენა-არდარჩენაზე. ამის გარდა, ბულგარეთსა და მოლდოვაში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში პრორუსმა პირებმა გაიმარჯვეს. შეგახსენებთ, რომ ბულგარეთი ნატოს წევრია, თუმცა აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ახალარჩეული პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მთლად კეთილი თვალით არ უყურებს ნატოს ორგანიზაციას.

დავუბრუნდეთ ჩვენს მეზობელ ქვეყნებს. რუსეთ-თურქეთის დაძმობილება-დამოყვრება ლამის ყოველდღიურად ხდება თვალში საცემი. ერთი კვირის წინ თურქეთში რუსეთის საპარლამენტო. ე. წ. ოპოზიციის დელეგაცია იმყოფებოდა. კერძოდ, ლიბერალ-დემოკრატები ჟირინოვსკის თავკაცობით. ერთი შეხედვით, გასაკვირი არაფერია, საპარლამენტო დელეგაციები მსოფლიოში ჩვეულებრივი, მიღებული ღონისძიებაა. საგულისხმო ის გარემოება გახლავთ, რომ ოპოზიციური პარტიის ხელმძღვანელი, რომელიც საკუთარ ხელისუფლებას ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყებას მოუწოდებდა, დიდი ზარ-ზეიმით მიიღეს!

დიახ, ჟირინოვსკი თურქეთის ყველა უწყების პირველ პირს პირადად შეხვდა, მათ შორის პრეზიდენტ ერდოღანს. მსგავსი შემთხვევები მსოფლიოს პოლიტიკურ ორბიტაზე არ ხდება, ან იშვიათობაა. მართალია, ვიზიტის შესახებ თვით რუსეთის პრესაშიც, კერძოდ, ერთ-ერთი ტელევიზიის ეთერში გაკვრით ისაუბრეს, მაგრამ, სავარაუდოდ, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რუსეთის ხელისუფლებაში. ჟირინოვსკის თურქეთში ჩასვლა საიდუმლო სერობის ტოლფასია. სწორედ ჟირინოვსკისგან გახდა თავდაპირველად ცნობილი, რომ თურქეთს შანხაის ორგანიზაციაში სურს გაწევრიანება!



თუ მართლა სურს თურქეთს შანხაის ორგანიზაციაში გაწევრიანება და ამას განახორციელებს, ფაქტობრივად, უარს იტყვის ნატო-ს ბლოკში ყოფნაზე და ევროკავშირზეც. ყოველივე ეს კი დიდი დარტყმა იქნება ორივე საერთაშორისო ორგანიზაციაზე. ნუ დაგვავიწყდება, რომ ნატოს წევრ ქვეყნებს შორის თურქეთის ჯარი რიცხობრივად მეორეა აშშ-ის შემდეგ. თურქეთის ნატო-დან გამოსვლა, შესაძლოა, ბლოკის რღვევის დასაწყისი გახდეს.

მართალია, თურქეთის მხარესთან ერთი შეხედვით მეგობრული ურთიერთობა გვაქვს, ამასთან, ზაფხულში ამბოხის შემდეგ პირველი საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ჩავიდა ოფიციალური ვიზიტით, მაგრამ ეს გარემოება დამშვიდების საფუძველს არ გვაძლევს.

ვარშავის ნატო-ს სამიტზე, რომელიც ივლისში გაიმართა, ერთ-ერთი მთავარი საკითხი შავ ზღვაზე ნატო-ს ფლოტის შექმნა იყო, მაგრამ ვერ განხორციელდა. ჯერ ერთი, ბლოკის წევრმა ქვეყნებმა — თურქეთმა და ბულგარეთმა, უარი თქვეს ნატო-ს ეგიდით პატრულირებაზე, რუმინეთი კი ანგარიშგასაწევ ძალად არ განიხილება. საქართველომ (და უკრაინამ) ფლოტის ბაზირებისთვის პორტები შესთავაზეს, რაც კიდევ უფრო ზრდის რისკებს ჩვენი ქვეყნისთვის.

შავი ზღვის გარდა, არც საქართველოს ხმელეთის მიმართ არიან გულგრილი ჩვენი მეზობლები, აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა, აფხაზეთი და სამაჩაბლო რუსეთის დაქვემდებარებაშია.

მართალია, რუსეთი თურქეთს ბოლომდე არ ენდობა და პირიქით, მაგრამ ორივე ქვეყანა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. მათი დამეგობრების შემთხვევაში, ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის რიტორიკიდან და საქციელიდან გამომდინარე, კარგს არაფერს უნდა ველოდეთ. რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის დათბობაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ, ოფიციალური ინფორმაციით, გასულ კვირას ერდოღანი და პუტინი, სამჯერ ესაუბრნენ ტელეფონით ერთმანეთს. როგორც ოფიციალურად ამბობენ, სირიაში არსებული ვითარება განიხილესო, მაგრამ, ვინ იცის...

რეგიონში კიდევ ერთი დიდი მოთამაშის, ირანის დავიწყება ნამდვილად არ შეიძლება. ამ ქვეყანასაც ოდითგანვე ჰქონდა და ახლაც აქვს თავისი ინტერესი კავკასიაში.

საქართველო საკმაოდ რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში მოექცა. ადრე თუ თურქეთს ნატო-ს ფაქტორი აკავებდა, როგორც ვხედავთ, ახლა აღარავის აზრს ითვალისწინებს. გვინდა თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, სწორედ რუსეთი გვიცავდა სხვადასხვა აგრესიისგან. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მტრად მოვიკიდეთ, ადვილი შესაძლებელია, საქართველო ჩვენი მეზობელი დიდი ქვეყნების საჯიჯგნი გახდეს. ამიტომ ხელისუფლებამ დეტალურად უნდა გააანალიზოს არა მარტო რეგიონში, არამედ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები თუ რყევები და აწარმოოს ქვეყნისთვის სასიკეთო პოლიტიკა, რათა რომელიმე ვეშაპის ლუკმა არ გავხდეთ.

გია ბურდული
551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მთვარისა კევლიშვილი.**
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

– როგორია საჯარო მოსამსახურის გამოსაცდელი ვადა?

– არაუმეტეს 6 თვისა.

* * *

– ჩემი ქალიშვილი განქორწინებულია მეუღლესთან. მათ ჰყავთ ორი მცირეწლოვანი შვილი. განქორწინების დროს ჩემს ქალიშვილს არ მოუთხოვია ალიმენტის საკითხის განხილვა. შეგვიძლია თუ არა, ახლა მოვითხოვოთ ალიმენტის გადახდა ბავშვის სასარგებლოდ?

– შეგიძლიათ.

ალიმენტის მოთხოვნა ყოველთვის შეიძლება ბავშვის სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე.

* * *

- ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ვინ არ შეიძლება მონაწილეობდეს / აცილების საკითხი/?

– საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, 1. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც:

ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;

დ) იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;

ე) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;

ვ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს.

ზ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ კოდექსის მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;

ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;

გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;

დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

3. თანამდებობის პირი ვალდებულია ზემდგომ თანამდებობის პირს აცნობოს ამ

ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ. განცხადება თვითაცილების თაობაზე განიხილება ამ კოდექსის 93-ე მუხლით დადგენილი წესით.

ამავე კოდექსის 93-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის აცილების საფუძველი, ამ კოდექსის 91-ე მუხლის შესაბამისად უფლება აქვს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე წერილობით განუცხადოს მას აცილება.

მე-2 ნაწილი: აცილების შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს.

მე-3 ნაწილი: აცილების შესახებ განცხადებას იხილავს და აცილების ან თვითაცილების საკითხს წყვეტს იმ თანამდებობის პირის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რომლის მიმართაც განცხადებულია აცილება, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირი.

მე-4 ნაწილი: კოლეგიური ორგანოს შემადგენლობაში შემავალი თანამდებობის პირის აცილების საკითხს წყვეტს კოლეგიური ორგანო ამ თანამდებობის პირის მონაწილეობის გარეშე.

მე-5 ნაწილი: მთელი კოლეგიური ორგანოს ან კოლეგიური ორგანოს წევრთა იმ რაოდენობის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად არაუფლებამოსილს ხდის ამ ორგანოს, აგრეთვე იმ თანამდებობის პირის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში, რომელსაც არ ჰყავს ზემდგომი ორგანო, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს კანონმდებლობის შესაბამისად ამ საკითხის გადასაწყვეტად დანიშნული, მისი მოვალეობის შემსრულებელი ან დამოუკიდებელი ორგანო.

მე-6 ნაწილი: ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე ვალდებულია აცილების შესახებ განცხადება წარადგინოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ან იმ მომენტიდან 2 დღის განმავლობაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ფაქტი ან გარემოება, რომელიც იძლევა აცილების საფუძველს.

კომანდანტე ფიდელი

ა.წ. 25 ნოემბერს 90 წლის ასაკში გარდაიცვალა ყველასთვის ცნობილი კომანდანტე, სახელგანთქმული კუბელი რევოლუციონერი და გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, კუბის ყოფილი პრეზიდენტი ფიდელ ალეხანდრო კასტრო რუსი.

მიუხედავად იმისა, ვის როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ფიდელ კასტროს მიმართ, იგი უკვე დიდი ხანია მსოფლიო ისტორიის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ფიდელ კასტრო მდიდარ ოჯახში დაიბადა 1926 წლის 13 აგვისტოს (მამამისს რამდენიმე ათასი ჰექტარი მიწა ჰქონდა) და იურიდიული განათლება მიიღო. მამა ფიქრობდა, რომ ვაჟი მის საქმეს განაგრძობდა, მაგრამ ჯერ კიდევ უნივერსიტეტში სწავლისას ფიდელმა მარქსიზმი აღმოაჩინა... „ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს უღრანი ტყიდან გამოსასვლელი ვიპოვე!“ — იტყვის მოგვიანებით დაუღალავი ორატორი. რომელიც თავით გადაეშვა კუბის რევოლუციის მორევში. იმ პერიოდში მას მხოლოდ 82 მხარდამჭერი ჰყავდა. მათ დიქტატორი ბატისტა ჩამოაგდეს და 1959 წელს 33 წლის ფიდელი კუბის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი გახდა.

მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე საინტერესო ფაქტს სახელგანთქმული კუბელი რევოლუციონერის ცხოვრებიდან.

● ფიდელ კასტრო მსოფლიოში მესამე მმართველი იყო, ინგლისის დედოფალ ელიზაბეთისა და ტაილანდის მეფის შემდეგ, რომელიც ყველაზე დიდხანს იყო ქვეყნის სათავეში.

● ცხოვრების მანძილზე ფიდელზე 638 თავდასხმა განხორციელდა. როცა საუბარი ამ თემას შეეხებოდა ხოლმე, იგი ამბობდა, „გადარჩენისთვის ჯილდოებს რომ იძლეოდნენ, მე ოქროს მედალოსანი და მსოფლიო ჩემპიონი ვიქნებოდიო“.

● „ორჯერ ვერ მოკვდები!“ — წერენ პოეტები პატრიოტულ ლექსებში, თუმცა ფიდელ კასტრო ნამდვილ გარდაცვალებამდე ექვსჯერ „მოკვდა“: 1986 წელს ინსულტით, 1994 წელს მორიგი თავდასხმის გამო, 2006 წელს ნაწლავური სისხლისდენის, 2007 წელს ამერიკელი ლტოლვილების ხელით, 2009 წელს კიდევ ერთი თავდასხმის გამო. 2012 წელს ხმები დადიოდა, თითქოს კუბის რევოლუციის ლიდერი ინსულტის შემდეგ ვერ მომჯობინდება და მისი ტვინი თანდათან კვდება, თუმცა 2012 წლის ოქტომბერში ფიდელი ხალხში გამოჩნდა და მშვენივრად აგრძელებდა ურთიერთობას მათთან.

● კომანდანტეს ძალიან უყვარდა ქალები. მის ცხოვრებაში რამდენიმე ასეული ქალი არსებობდა, ოფიციალურად კი მხოლოდ სამი. მისი თანამებრძოლები ამტკიცებდნენ, რომ „იგი ქვეყანასაც ისე ფლობდა, როგორც ქალს და ამით უდიდეს სიამოვნებას იღებდა“.

● კუბაზე კომუნიზმის ჩამოყალიბების გამო ფიდელ კასტრო 1962 წელს ეკლესიიდან განკვეთეს.

● ამერიკა დაუღალავად ცდილობდა ფიდელ კასტროს რეჟიმის განადგურებას. მათი ერთ-ერთი გამოგონება იყო ყველა უკმაყოფილო კუბელის ამერიკაში თავისუფალი ემიგრაცია. კომანდანტემ ამაზე ფრიად მახვილგონივრული სვლა მოიფიქრა: იგი იძულებით ასახლებდა ამერიკაში კუბის ყველაზე საშიშ დამნაშავეებს, რომლებსაც ციხეებიდან უშვებდა.

● კომანდანტეს ძალიან მოსწონდა ღოლეხ-ის საათები. ბევრ ფოტოზე მას მაჯაზე ამ ფირმის ორი საათი უკეთია.

● 2000 წელს კასტრომ შოკში ჩააგდო საზოგადოება, როცა პირველი მაისის ზეიმზე გამოცხადდა თავის ხაკისფერ ფრენჩსა და თეთრ ბოტასებში. რამდენიმე ხნის შემდეგ მან ახსნა, რით იყო გამოწვეული მისი ეპატაჟური ჩახმულობა. აღმოჩნდა, რომ ეს რომელიღაც უცხოური ფირმის რეკლამა იყო, რომელმაც ამის სანაცვლოდ კუბელი ბავშვებისა და სპორტსმენებისთვის დიდი პარტია სხვადასხვა ფერის ეს სპორტული ფეხსაცმელი შეიტანა ქვეყანაში.

● ფიდელ კასტრო შესანიშნავი კულინარი იყო. მას ძალზე მოსწონდა სპაგეტის მომზადება საკუთარი რეცეპტებით.

● ყველაზე ხანგრძლივი გამოსვლის გამო ფიდელი გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი. კომპარტიის მესამე ყრილობაზე ჰავანაში მან ილაპარაკა 7 საათი და 10 წუთის განმავლობაში, რაც სააგენტო „როიტერმა“ დააფიქსირა.

● ფიდელი ძალიან ბევრს ეწეოდა. მან შეძლო უარი ეთქვა ამ მავნე ჩვევაზე! ესდ იმ წელს მოხდა, როცა 59 წლის გახდა. თუმცა კუბურ სიგარაზე უარის თქმა, რომელიც მსოფლიოში კონტრაბანდული გზით შედის, ძალიან ძნელია, ამასთან, ასაკის მატებასთან ერთად, მოწევაზე უარის თქმა უფრო ძნელია! ალბათ, იმაზე ფიქრი დაეხმარა, რომ სიგარების დიდი წილი ამერიკაში გადიოდა ექსპორტით. „ყველაზე უკეთესი, რაც შეგიძლიათ მოიმოქმედოთ, ის არის, რომ სიგარის ყუთი მტერს აჩუქოთ!“ — ამბობდა კომანდანტე.

● ფიდელის ერთ-ერთი გატაცება წყალქვეშა ნადირობა იყო. სამწუხაროდ, მრავალრიცხოვანმა ჩაყვინთვებმა ფილტვების პრობლემებამდე მიიყვანა იგი. მათი ვენტილაცია და ჟანგბადით ქსოვილის უზრუნველყოფა დარღვეული იყო. ამიტომ რთული ოპერაციის მიუხედავად, კასტრო იძულებული იყო მუდმივად ეტარებინა თერმოკოსტიუმი.

● კომანდანტეს ძალზე მოსწონდა ხანგრძლივი მონოლოგები სხვადასხვა თემაზე, ხშირად ისეთ თემებზეც, რომლებიც სრულიად არ იყო კავშირში კუბის ბედთან. მაგალითისთვის, მას შეეძლო სამი საათი ელაპარაკა რომელიმე ამერიკელ კონგრესმენთან იმის შესახებ, როგორ უნდა გაზრდილიყო ძროხების წველადობა. უცხოელი სტუმარი უხერხულად იღიმება... ექსტრავაგანტურია? შესაძლოა. თუმცა ეს ფიდელ კასტროს ერუდიციის კიდევ ერთი დადასტურება იყო.

● 2005 წელს ჟურნალმა **Forbes**-მა ფიდელ კასტროს ქონება 550 მლნ დოლარად შეაფასა, ხოლო 2006 წელს უკვე 900 მლნ-ზე იყო საუბარი. თავად კომენდანტე კი ამბობდა, რომ მისი ქონება ერთ ჯიბეში ჩაეტეოდა.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა